


ათი მცნების განმარტება


ცოლვა და სასჯელი

საუბრები ათონელ ბერებთან




გამომცემლობა ხარება
თბილისი
2006

ღაიბეჭდა
ბათუმისა და სხალთის
მთავარეპისკოპოს ღიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით



თარგმნეს ნინო ბელთაძემ, ვლადიმერ წამალაშვილმა
რედაქტორი: ნინო კვანტალიანი
მხატვარი: მარიამ ჩხაიძე

გარეკანზე: სინას მთები — ზემოთ წმ. ეკატერინეს მთა,
ქვემოთ წმ. მოსე წინასწარმეტყველის მთა.

	სსაშპზრდ	სრ
	30.06.06	№104

შინაარსი

ათი მცნების განმარტება

რწმენასა და სიყვარულს შორის

კავშირის შესახებ 5

საღვთო სჯულისა და მცნებათა შესახებ 7

ორ სჯულისფიცრად მცნებათა

გაყოფის შესახებ 9

პირველი მცნების შესახებ 12

მეორე მცნების შესახებ 17

მესამე მცნების შესახებ 20

მეოთხე მცნების შესახებ 21

მესამე მცნების შესახებ 25

მეექვსე მცნების შესახებ 30

მეშვიდე მცნების შესახებ 34

მერვე მცნების შესახებ 36

მეცხრე მცნების შესახებ 38

მათე მცნების შესახებ 39

ცოდვა და სასჯელი 42

საუბრები ათონელ ბერებთან 57

„უსამართლო იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდენ ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდა იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ. და აჰა ესერა მოვალ ადრე, და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს. მე ვარ ანი და შ, პირველი და უკუანადასკნელი, დასაბამი და დასასრული.

ნეტარ არიან, რომელნი იქმოდინ მცნებათა მისთა, რაფთა იყოს ხელმწიფება მათი ძელსა მას ზედა ცხორებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად. გარე იყვნენ შეგინებულნი და მწამლველნი და მეძავნი და კაცის-მკლველნი და კერპთმსახურნი და ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუვილისა.

მე, იესუ, მოვავლინე ანგელოზი ჩემი, რაფთა გიწამოს ესე ყოველი თქუნენ, ეკლესიათა. მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადისა“.

გამოცხადება 22, 11-16

ათი მცნების განმარტება

რწმენასა და სიყვარულს შორის კავშირის შესახებ

კითხვა: რა ცხადყოფს ქრისტიანზე ჭეშმარიტი რწმენის მოქმედებასა და მის ნაყოფს?

პასუხი: სიყვარული და, შესაბამისად, კეთილი საქმენი.

„რამეთუ ქრისტე იესუმს მიერ არცა წინადაცუეთილებაა რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთილებაა, არამედ სარწმუნოებაა, სიყვარულისგან შეწვევული“, – ამბობს პავლე მოციქული (გალატ. 5,6).

კითხვა: იქნებ ქრისტიანისთვის საკმარისია მხოლოდ რწმენა, სიყვარულისა და კეთილ საქმეთა გარეშე?

პასუხი: არ არის საკმარისი. რადგან სიყვარულისა და კეთილ საქმეთა გარეშე რწმენა უმოქმედოა და მკვდარი, ამიტომაც მას არ ძალუძს მარადიულ ცხოვრებამდე ჩვენი მიყვანა.

„ჩუენ უწყით, რამეთუ მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხოვრებად, რამეთუ გვიყუარან ძმანი. რომელსა არა უყუარდეს ძმაა, სიკუდილსა შინა დადგრომილ არს. ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაა თვისი, იგი კაცის-მკლველი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკლველსა არა აქუს ცხოვრებაა საუკუნომ მის თანა დადგრომილად. ამით ვცნათ სიყუარული მისი, რამეთუ მან სული თვისი ჩუენტვის დადვა და ჩუენცა თანა-გუაც ძმათათვის სულთა ჩუენტა დადებაა. უკუეთუ ვისმე აქუნდეს საცხოვრებელი სოფლისაჲ ამის და იხილოს ძმაა თვისი, რომელსა ეხმარებოდის რაჲმე და დაჰხსნეს ნაწლევი თვისნი მისგან, ვითარ-მე ჰვიეს მის თანა სიყუარული ღმრთისაჲ?“ (1 იოან. 3,14-18).

„რამ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს და საქმენი არა ჰქონდინ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?... რამეთუ ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობ. 2,14,26).

კითხვა: იქნებ შესაძლებელია პირიქით, მხოლოდ სიყვარულითა და კეთილი საქმეებით გადარჩენა რწმენის გარეშე?

პასუხი: შეუძლებელია ადამიანს, რომელსაც არა აქვს ჭეშმარიტი რწმენა, ნამდვილად უყვარდეს ღმერთი. ამასთან, ცოდვით დაზიანებულ კაცს არ ძალუძს ჭეშმარიტად კეთილ საქმეთა აღსრულება, თუკი იესო ქრისტეს რწმენით არ მიიღებს სულიერ ძალას, ანუ საღვთო მადლს.

„თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფაჲ; რამეთუ სარწმუნოებაჲ უღირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ ექმნების“ (ებრ. 11,6).

კითხვა: რა უნდა ვიფიქროთ ისეთ სიყვარულზე, რომელსაც არ ახლავს კეთილი საქმეები?

პასუხი: ეს არ არის ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც ბუნებრივად ავლენს თავის თავს კეთილი საქმეებით.

იესო ქრისტე ბრძანებს: „რომელსა აქუნდეს მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს ივინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე... უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს“ (იოან. 14,21,23).

იოანე მოციქული წერს: „რამეთუ ესე არს სიყუარული ღმრთისაჲ, რაჲთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ (1 იოან. 5,3).

„ნუ ვიყუარებით სიტყვითა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (1 იოან. 3,18).

საღვთო სჯულისა და მცნებათა შესახებ

კითხვა: რა საშუალებები არსებობს კეთილი საქმის ბოროტისგან გამოსარჩევად?

პასუხი: საღვთო სჯული შინაგანი, ანუ სინდისის მოწმობა, და საღვთო სჯული გარეგანი, ანუ ღვთის მცნებანი.

კითხვა: თუ არის შინაგანი სჯული ნახსენები წმიდა წერილში?

პასუხი: პავლე მოციქული წარმართებზე ამბობს: „რომელნი გამოაჩინებენ საქმესა სჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა, თანა-მოწამებითა მათდა გონებისა მათისადათა და შორის ურთიერთას გულის სიტყუანი შეასმენდენ ანუ სიტყუას უგებდენ“ (რომ. 2,15).

კითხვა: თუ ადამიანებში შინაგანი სჯული არსებობს, მაშინ რისთვის მიეცათ გარეგანიც?

პასუხი: იგი იმიტომ მიეცათ, რომ ადამიანები შინაგან სჯულს არ ემორჩილებოდნენ, მისდევდნენ ხორციელ და ცოდვილ ცხოვრებას, საკუთარ თავში ახშობდნენ სულიერი სჯულის ხმას; ამიტომაც იყო საჭირო მათთვის ამ სჯულის გარეგნულად, მცნებათა საშუალებით შეხსენება.

კითხვა: როდის და როგორ მიეცათ ადამიანებს ღვთის გარეგანი სჯული?

პასუხი: როდესაც აბრაამის მოდგმამ — ებრაელმა ერმა სასწაულებრივად დააღწია თავი ეგვიპტეში მონობას და მისთვის აღთქმული მიწისკენ გზას დაადგა, ღმერთმა უდაბნოში, სინას მთაზე, ისრაიტიელთა წინამძღოლის — მოსეს ხელით სჯული მისცა მათ.

კითხვა: რომელია ამ სჯულის მთავარი და საყოველთაო მცნებები?

პასუხი: ქვის ორ ფიქალზე ანუ სჯულისფიცარზე დაწერილი შემდეგი ათი მცნება:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზე და ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოილო სახელი უფლისა ღმერთისა შენისა ამასა ზედა.

4. მოიხსენე ღლე იგი შაბათთაჲ და წმიდა-ყავ იგი: ექუს ღლე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო ღლე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმერთისა შენისა.

5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და ღლეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა.

6. არა კაც-კლა.

7. არა იმრუშო.

8. არა იპარო.

9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა.

10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისა მოყუსისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოველი, რაჲ იყოს მოყუსისა შენისა. (გამოსლვ. 20,1-17).

კითხვა: თუ ეს მცნებანი მიეცა ისრაელის ერს, ჩვენც გვმართებს მათი დაცვა?

პასუხი: გემართებს — თავისი არსით ეს მცნებები იგივე სჯულია, რაც, პავლე მოციქულის სიტყვით, ყველა ადამიანის გულშია დაწერილი, რათა მის თანახმად იქცეოდნენ.

კითხვა: იესო ქრისტე გვასწავლიდა ათი მცნების თანახმად მოქცევას?

პასუხი: იესო ქრისტე გვიბრძანებდა მცნებათა დამარხვას მარადიული ცხოვრების დამკვიდრებისთვის და გვასწავლიდა, რათა უფრო სრულყოფილად შეგვეცნო და აღგვესრულებინა ისინი, ვიდრე მაცხოვრის მოვლინებამდე ესმოდათ და ასრულებდნენ (იხ. მათ. 19,17; თ. 5).

ორ სჯულისფიცრად მცნებათა გაყოფის შესახებ

კითხვა: რას ნიშნავს ათი მცნების გაყოფა ორ სჯულისფიცრად?

პასუხი: ეს ნიშნავს, რომ მათზე აისახა ორი სახის სიყვარული: ღვთისა და მოყვასისა. ამიტომაც გვეკისრება ორგვარი მოვალეობა.

კითხვა: იესო ქრისტე ხომ არ ამბობს რამეს ამის შესახებ?

პასუხი: შეკითხვაზე — „რომელი მცნებაა უფროა არს სჯულსა შინა?“ — მან მიუგო: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაა. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათ. 22,36-40).

კითხვა: ყველა ადამიანი ჩვენი მოყვასია?

პასუხი: ყველა, რაკი ყველა ერთი ღმერთის ქმნილებაა და ერთი ადამიანიდან წარმოიშვა. მაგრამ ერთმორწმუნენი ორმა-

გად მახლობელნი არიან ჩვენთვის, როგორც ერთი ზეციური მამის შვილნი იესო ქრისტეს სარწმუნოებით (შდრ. ფილიპ. 3,9).

კითხვა: რატომ არ არსებობს საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის მცნება?

პასუხი: იმიტომ, რომ მცნების გარეშეც, ბუნებრივად, „არავინ სადა თავი თვისი მოიძულოს, არამედ ზრდინ და ჰფუფუნებნ მას“ (ეფ. 5,29).

კითხვა: რა კანონზომიერებით უნდა გვიყვარდეს ღმერთი, მოყვასი და საკუთარი თავი?

პასუხი: საკუთარი თავი უნდა გვიყვარდეს მხოლოდ ღვთისთვის და ნაწილობრივ — მოყვასისთვის; მოყვასი — ღვთისთვის, ხოლო ღმერთი უნდა გვიყვარდეს თავად ღვთისთვის და ამასთან — ყველაზე მეტად. საკუთარი თავის სიყვარული მსხვერპლად უნდა შევწიროთ მოყვასის სიყვარულს, ხოლო საკუთარი თავისა და მოყვასის სიყვარული — ღმერთს.

„უფროდსი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რადთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოან. 15,13).

„რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროდს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროდს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათ. 10,37), — ბრძანებს იესო ქრისტე.

კითხვა: თუკი მთელი სჯულის გადმოცემა შესაძლებელია ორი მცნებით, მაშინ ათი მცნება რატომღა მოგვეცა?

პასუხი: იმიტომ, რომ უფრო ცხადი წარმოდგენა გვქონდეს ღვთისა და მოყვასის მიმართ ჩვენს მოვალეობებზე.

კითხვა: რომელი მცნებების თანახმად გვეკისრება ღვთის მიმართ მოვალეობანი?

პასუხი: პირველი ოთხის თანახმად.

კითხვა: სახელდობრ, რა მოვალეობანი გვეკისრება?

პასუხი: პირველი მცნება გვავალებს, შევიცნოთ ჭეშმარი-
ტი ღმერთი და პატივი მივაგოთ.

მეორე — ვერიდოთ ცრუ ღმერთთა თაყვანისცემას.

მესამე — არ დავარღვიოთ ღვთისადმი თაყვანისცემა სიტყ-
ვითაც კი.

მეოთხე — წესიერად და გულმოდგინედ აღვასრულოთ
ღვთის თაყვანისცემის საქმენი.

კითხვა: რომელი მცნებების თანახმად გვეკისრება მოვა-
ლულები მოყვასის მიმართ?

პასუხი: უკანასკნელი ექვსი მცნების თანახმად.

კითხვა: რა მოვალეობებზეა საუბარი?

პასუხი: მეზუთე მცნება გვავალებს, გვიყვარდეს მოყვასი
და პატივი ვცეთ მას, განსაკუთრებით ჩვენს ახლობლებს,
მშობლებით დაწყებული.

მეექვსე მცნება — საფრთხე არ შევუქმნათ მოყვასთა სიცოც-
ხლეს.

მეშვიდე — არ შეურაცხვეყოთ მათი ზნეობრივი სიწმინდე.

მერვე — არ ხელვეყოთ მათი საკუთრება.

მეცხრე — არ ვავნოთ მათ სიტყვით.

მეათე — არ ვუსურვოთ ცუდი.

კითხვა: შედის თუ არა ათ მცნებაში საკუთარი თავის მი-
მართ მოვალეობანიც?

პასუხი: ისინი შედის მოყვასის მიმართ მოვალეობის ცნე-
ბებში იმიტომ, რომ მოყვასი საკუთარი თავივით უნდა გვიყ-
ვარდეს.

პირველი მცნების შესახებ

კითხვა: რას ნიშნავს სიტყვები: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი?“

პასუხი: ამ სიტყვებით ღმერთი საკუთარ თავზე მიუთითებს და, მაშასადამე, ადამიანს უფალი ღმერთის შეცნობას უბრძანებს.

კითხვა: ღვთის შეცნობის შესახებ ამ ბრძანებაში რა განსაკუთრებული მოვალეობები შეიძლება ვიგულისხმოთ?

პასუხი: 1. უნდა ვეძიოთ ღვთის შეცნობა, რაც უმნიშვნელოვანესია ყველა ცოდნათა შორის.

2. ბეჯითად ვისმინოთ სწავლანი ღვთისა და მისი საქმეების შესახებ ეკლესიაში და ღვთისმოსავი საუბრები – სახლში.

3. საჭიროა ისეთი წიგნების კითხვა ან მოსმენა, რომლებიც ღვთის შეცნობას გვასწავლიან: პირველი – წმიდა წერილი, მეორე – წმინდა მამათა ნაწერები.

კითხვა: რას გვავალებს სიტყვები: „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე?“

პასუხი: გვავალებს, მივმართოთ და მივემსჯვალოთ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ანუ კეთილკრძალულებით მას მივაგოთ პატივი.

კითხვა: რა მოვალეობები განეკუთვნება ღვთისადმი შინაგან პატივისცემას?

1. რწმენა ღვთისა.

2. ღვთის წინაშე სვლა, ანუ ხსოვნა ღვთისა და ყოველთვის წინდანედულად მოქცევა, რადგან იგი (ღმერთი) ხედავს არა მხოლოდ საქმეებს, არამედ ჩვენს ყველაზე დაფარულ ფიქრებსაც.

3. ღვთისმოშიშება ანუ მის წინაშე კეთილკრძალულება. ეს ნიშნავს – ზეციური მამის რისხვა ჩვენთვის უდიდეს უბედუ-

რებად ჩავთვალოთ; ამიტომაც უნდა ვეცადოთ, არ განვარის-
ხოთ იგი.

4. ღვთისადმი სასოება.

5. ღვთის სიყვარული.

6. ღვთისადმი მორჩილება, ანუ მუდმივი მზადყოფნა — ვაკე-
თოთ ის, რასაც ღმერთი გვიბრძანებს და არ ვდრტვინავდეთ,
როდესაც იგი ისე არ გვექცევა, როგორც ჩვენ გვსურს.

7. ღვთის, როგორც უზენაესი არსების თაყვანისცემა.

8. ღვთის, როგორც ყოვლადსრულყოფილი არსების განდი-
დება.

9. ღვთის, როგორც შემოქმედის, განმგებლისა და მაცხოვ-
რის მაღლიერება.

10. ღვთის, როგორც ყოვლადსახიერისა და ყოველ კეთილ
წამოწყებაში ყოვლისშემძლე შემწის მოხმობა.

კითხვა: რა მოვალეობანი განეკუთვნება ღვთის გარეგან პა-
ტივისცემას?

პასუხი: 1. ღვთის აღიარება. ეს ნიშნავს ვაღიაროთ, რომ ის
არის ჩვენი ღმერთი, და არ უარვყოთ იგი, თუნდაც ამისთვის
ტანჯვა და სიკვდილი გველოდეს.

2. ღვთისგან დადგინებულ და მართლმადიდებელი ეკლესი-
ის მიერ დაწესებულ საზოგადო ღვთისმსახურებაში მონაწი-
ლეობა.

კითხვა: პირველი მცნების უკეთ გასააზრებლად და დასა-
ცავად საჭიროა კიდევ ვიცოდეთ: რომელია მისი საწინააღმდე-
გო ცოდვები?

პასუხი: 1. უღმერთობა — როდესაც ადამიანები, რომელ-
თაც ფსალმუნთმგალობელი სამართლიანად უწოდებს უგუნუ-
რებს, ამბობენ „გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი“ (ფს.
13,1) და ამით სურთ ღვთის სამსჯავროს შიშისგან განთავი-
სუფლება.

2. მრავალმერტიანობა — როდესაც ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად ცრუ ღმერთებს აღიარებენ. აქ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ძველი და თანამედროვე წარმართული რელიგია — ინდუიზმი, ბუდიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა და ა. შ.

3. ურწმუნოება — როდესაც აღიარებენ ღმერთის არსებობას, მაგრამ მისი განგებულებისა და გამოცხადების არ სჯერათ.

4. ერესი — როდესაც ადამიანები ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებას სიცრუეს შეურევენ. წმინდა მამები ერესის ცნებაში აერთიანებენ როგორც მართლმადიდებლობიდან განდგომილ მიმდინარეობებს (მაგ. კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, პროტესტანტობა), ასევე ე. წ. მონოთეისტურ რელიგიებს — იუდაიზმი და ისლამი.

5. განხეთქილება ანუ თვითნებური გამოყოფა მართლმადიდებელი ეკლესიისგან.

6. ღვთისგან განდგომა — როდესაც უარყოფენ ჭეშმარიტ ღმერთს ან ჭეშმარიტ სარწმუნოებას ადამიანური შიშის გამო ან ამქვეყნიური სარგებელის შესაძენად.

7. სასოწარკვეთილება — როდესაც ღვთისგან მადლის მიღებისა და გადარჩენის იმედი საერთოდ აღარ აქვთ.

8. ჯადოქრობა — როდესაც არ სწამთ ღვთის ყოვლისშემძლეობა და სჯერათ ადამიანის ყოვლისშემძლეობისა, საიდუმლო ძალებისა, განსაკუთრებით ბოროტი სულებისა, და მათი მეშვეობით ცდილობენ თავიანთი სურვილების აღსრულებას. ჯადოქრობას განეკუთვნება სხვადასხვაგვარი ოკულტიზმი, შავი და თეთრი მაგია, იოგა, ე. წ. თეოსოფია და ანთროპოსოფია, სპირიტიზმი, ასტროლოგია, მკითხაობა, შელოცვა, „ექსტრასენსუალი“ მკურნალობა, ძენ-ბუდიზმი, ის აღმოსავლური ორთაბრძოლები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის ე. წ. შინაგანი ძალების განვითარებას და ა. შ.

9. ცრურწმენა – როდესაც სწამთ რომელიმე ჩვეულებრივი ნივთის ღვთიური ძალა და ღმერთის სანაცვლოდ მას სასოებენ, მისი ეშინიათ, ან რაიმე მოვლენას მიაწერენ ბედნიერებას ან უბედურებას, როგორც, მაგალითად, ბედნიერ ან უბედურ დღეებსა და წლებს, ვარსკვლავების განლაგებას, კარგ და ცუდ „ფეხს“, შავ კატას, 13 რიცხვს და ა.შ.

10. მცონარება (სიზარმაცე) კეთილმსახურების შესწავლის (1 ტიმ. 6,3), ლოცვისა და საზოგადო ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიმართ.

11. ღმერთზე მეტად ქმნილების სიყვარული.

12. კაცთმოთნეობა – როდესაც ადამიანების მომადლიერებისთვის ზრუნავენ და არ ცდილობენ – სათნოეყონ ღმერთს.

13. კაცთმოიმედეობა – როდესაც საკუთარი ან სხვათა შესაძლებლობის იმედი აქვთ და არა საღვთო წყალობისა და შემწეობისა.

კითხვა: რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ კაცთმოთნეობა და კაცთმოიმედეობა ეწინააღმდეგება პირველ მცნებას?

პასუხი: იმიტომ, რომ ადამიანი, რომლის გულის მოგებაც გვინდა ან ვისი იმედიც გვაქვს, გარკვეულწილად ჩვენთვის უცხო ღმერთი ხდება და ჭეშმარიტი ღმერთის ადგილს იკავებს.

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი კაცთმოთნეობის შესახებ?

პასუხი: პავლე მოციქული ამბობს: „აწ კაცთა-მე ვერწმუნო ანუ ღმერთსა? ანუ ვეძიებ რას კაცთა მოთნებასა? რამეთუ უკუეთუძმა კაცთაღა სათნო-ვეყოფოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“ (გალ. 1,10).

კითხვა: რას გვეუბნება წმიდა წერილი კაცთმოიმედეობის შესახებ?

პასუხი: „ესრეთ იტყვის უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ, და განიმტკიცოს ხორცი

მკლავისა თვისისაჲ და უფლისაგან განდგეს გული მისი“ (იერემ. 17,5).

კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, უკეთ რომ შეძლოს ღვთის წინაშე საკუთარი მოვალეობების წარმატებით შესრულება?

პასუხი: უნდა უარყოს თავი თვისი.

„რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ“, – ბრძანებს იესო ქრისტე, – „უვარ-ყავნ თავი თვისი“ (მარკ. 8,34).

კითხვა: რას ნიშნავს საკუთარი თავის უარყოფა?

პასუხი: ბასილი დიდი ამას ასე განმარტავს: „თავისთავს უარყოფს ის, ვინც განიდარცვავს ძველ ადამიანს – მაცდური გულისთქმებისგან გახრწნილს – და მის საქმეებს. აგრეთვე უარყოფს ყველა საერო მიდრეკილებას, რომლებიც წინ აღუდგებიან ღვთისმსახურების წადილს. სრული განდგომა ნიშნავს თავად ცხოვრებისაგან განშორებას, სიკვდილზე ფიქრს, საკუთარი თავის იმედის არქონას“ (ვრცელი მართლმადიდებლური პასუხები, 8).

კითხვა: რა ნუგეში შეიძლება მიიღოს ადამიანმა, როდესაც საკუთარი თავის უარყოფით მოიკლებს ბევრ ბუნებრივ სიამოვნებას?

პასუხი: მადლმოსილი, საღვთო ნუგეში, რასაც ტანჯვაც კი ვერ დააკარგვინებს.

„რამეთუ, ვითარცა-იგი ჰმატან ვნებანი ქრისტესნი ჩუენდა მომართ, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ჰმატან ნუგეშინის-ცემანიცა ჩუენნი“ (2 კორ. 1,5).

კითხვა: თუ პირველი მცნება გვიბრძანებს, რომ კეთილკრძალულებით მივაგოთ პატივი ერთ ღმერთს, მაშინ ეთანხმება თუ არა ამ მცნებას ანგელოზთა და წმინდა ადამიანთა თაყვანისცემა?

პასუხი: ანგელოზთა და წმინდანთა ჯეროვანი პატივისცემა სრულად ეთანხმება ამ მცნებას იმიტომ, რომ ჩვენ თაყვანს ვცემთ მათში ღვანებულ და მოქმედ ღვთის მადლს და მათი მეშვეობით ღვთისგან ვითხოვთ შემწეობას.

მეორე მცნების შესახებ

კითხვა: რა არის კერპი, რის შესახებაც მეორე მცნებაშია საუბარი?

პასუხი: ამ მცნებაში განმარტებულია, რომ კერპი ანუ ცრულმერთი არის ცაში, მიწაზე ან წყალში ბინადარი რომელიმე ქმნილების გამოსახულება, რომელსაც ღმერთის ნაცვლად ეთაყვანებიან და ემსახურებიან.

კითხვა: ამრიგად, რას კრძალავს მეორე მცნება?

პასუხი: კრძალავს კერპების, როგორც ცრუ ღმერთების ან როგორც მათ გამოსახულებათა თაყვანისცემას.

კითხვა: ამის გამო ხომ არ იკრძალება წმინდა გამოსახულებანი?

პასუხი: არ იკრძალება. ეს ცხადად ჩანს იქიდან, რომ მოსე წინასწარმეტყველმა, რომლის მეშვეობითაც ღმერთმა კერპების აკრძალვის მცნება მოგვცა, იმავდროულად ღვთისგან მიიღო ბრძანება — კარავში, ანუ ებრაელთა მოძრავ ტაძარში, სახელდობრ, მის შიდა ნაწილში, სადაც ერი ღმერთს სცემდა თაყვანს, დაედგა წმიდა ქერუბიმთა ოქროს გამოსახულებები.

კითხვა: რატომ არის ეს მაგალითი ღირსშესანიშნავი მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისთვის?

პასუხი: იმიტომ, რომ იგი განმარტავს მართლმადიდებელ ეკლესიაში წმიდა ხატების თაყვანისცემის მართებულობას.

კითხვა: რა არის ხატი?

პასუხი: ხატი ნიშნავს სახეს ან გამოსახულებას. მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ სახელით იწოდება განხორციელებული ღმერთის — იესო ქრისტეს, მისი ყოვლადწმიდა დედის, ანგელოზებისა და წმინდანების გამოსახულებანი.

კითხვა: ეთანხმება თუ არა მეორე მცნებას წმიდა ხატების თაყვანისცემა?

პასუხი: ეთანხმება. შეუსაბამობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, ვინმეს ხატები რომ გაელმერთებინა. მაგრამ ამ მცნებას ოღნავადაც არ ეწინააღმდეგება ხატთა, როგორც წმიდა გამოსახულებათა, თაყვანისცემა და მათი გამოყენება ღვთისა და მისი წმინდანების საქმეთა კრძალვით გასახსენებლად; ასეთ შემთხვევაში ხატი იგივე წიგნია, სადაც ასოების ნაცვლად სახეები და საგნებია ჩაწერილი (წმ. გრიგოლ დიდი. წერილები, წ. 9, წერილი 9).

წმიდა ბასილი დიდი ბრძანებს: „პატივი ხატისაჲ პირმშოჲსა მის სახისა მიმართ მიიწევის“, ანუ ხატის თაყვანისცემა მასთან აღის, ვის გამოსახულებასაც ვცემთ თაყვანს.

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის: „თაყუანისვსცემ და ამბორს-უყოფ პატიოსანსა ხატსა ქრისტესსა, რამეთუ სახე არს განხორციელებისა მისისაჲ; თაყუანის-ვსცემ ძელსა პატიოსანსა ჯუარისასა და ყოველთა სამღვდელთა ჭურჭელთა, წმიდასა სახარებასა და წმიდასა ბარძიმსა, და რაჲცა შეეხების დიდებულთა მათ საიდუმლოთა და წმიდათა ეკლესიათა, მის ძლით, რომელმან ჯერ-იჩინა ჩუენთვის ხელით-ქმნილთა ტაძართა შინა დამკვიდრებაჲ; თაყუანის-ვსცემ ხატსა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა და ყოველთა წმიდათასა, სიყუარულისათვის მხოლოდსა ღმრთისა, და არა ფერთა მათ და წამალთა შინა დაუტეობ გონებასა, არამედ სულიერთა თუალთა ავაძალღებ პირმშოთა მათ სახეთა მიმართ;

თაყუანის-ვსცემ ნაწილთა წმიდათასა, რამეთუ აქუს მათ ღმრთისა მიერ მადლი სიწმიდისაჲ“.

კითხვა: ზოგადად რა ეწოდება მეორე მცნების წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვას?

პასუხი: კერპთაყვანისმცემლობა.

კითხვა: კიდევ არსებობს სხვა ცოდვები მეორე მცნების წინააღმდეგ?

პასუხი: გარდა ტლანქი კერპთაყვანისმცემლობისა, მეორე მცნებას ეწინააღმდეგება შინაგანი კერპთაყვანისცემაც:

1. სახმართმოყვარება ანუ ანგარება, ქონების სიყვარული.
2. გემოთმოყვარება, ნაყროვანება (გაუმაძღრობა) და მემთვრალეობა (ლოთობა).
3. ამპარტავნება ანუ სიამაყე (დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე) და პატივმოყვარეობა (კაცთამიერი დიდების სიყვარული).

კითხვა: რატომ ითვლება ანგარება კერპთაყვანისმცემლობად?

პასუხი: იმიტომ, რომ ანგარებისმოყვარე ადამიანი უფრო სიმდიდრეს ეძსახურება, ვიდრე ღმერთს. პავლე მოციქული ამბობს: „ანგაჰრებაჲ... არს კერპთმსახურებაჲ“ (კოლას. 3,5).

კითხვა: მეორე მცნება ანგარებას რომ კრძალავს, ამით რას გვასწავლის?

პასუხი: უანგარობასა და გულუხვობას.

კითხვა: რატომ განეკუთვნება გემოთმოყვარება კერპთაყვანისმცემლობას?

პასუხი: იმიტომ, რომ გემოთმოყვარენი ყველაფერზე მაღლა გრძნობისმიერ სიამოვნებას აყენებენ; ამიტომაც ამბობს მოციქული, რომ მათი ღმერთი „მუცელი არს“ (ფილიპ. 3,19), სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ თავიანთი მუცელი კერპად გაინადეს.

კითხვა: მეორე მცნება გემოთმოყვარების აკრძალვით რას გვასწავლის?

პასუხი: თავშეკავებასა და მარხვას.

კითხვა: რატომ ითვლება სიამაყე და პატივმოყვარეობა კერპთაყვანისმცემლობად?

პასუხი: იმიტომ, რომ ამაყი ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებსა და უპირატესობებს ყველაფერზე მეტად აფასებს, ამით კი საკუთარ თავს კერპად იხდის და სურს, სხვებიც ეთაყვანებოდნენ. სიამაყისა და პატივმოყვარეობის ამგვარი განწყობა დაუფარავად გამოავლინა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, როდესაც საკუთარ თავს ოქროს კერპი დაუდგა და მისი თაყვანისცემა ბრძანა (დან. 3).

კითხვა: კიდევ ხომ არ არსებობს რაიმე მანკიერება, რაც კერპთაყვანისმცემლობას უახლოვდება?

პასუხი: ასეთი მანკიერება არის ფარისევლობა ანუ თვალთმაქცობა, როდესაც ვინმე კეთილმსახურების გარეგან საქმეებს, როგორებიცაა მარხვა და საეკლესიო წესების ზუსტი დაცვა, იყენებს კაცთაგან პატივისცემის მოსახვეჭად და არ ზრუნავს გულის გამოსწორებაზე (მათ. 6,5-7).

კითხვა: მეორე მცნება სიამაყეს, პატივმოყვარებასა და ფარისევლობას რომ კრძალავს, ამით რას გვასწავლის?

პასუხი: თავმდაბლობასა და სიკეთის ფარულად კეთებას.

მესამე მცნების შესახებ

კითხვა: როდის წარმოითქმის ამაოდ ღვთის სახელი?

პასუხი: ამაოდ, ანუ ტყუილუბრალოდ იგი წარმოითქმის უსარგებლო და ფუჭი საუბრების დროს, მით უმეტეს, თუ ღმერთის სახელს სიცრუისთვის და ღვთისმოშიშების გარეშე ახსენებენ.

კითხვა: რა ცოდვები იკრძალება მესამე მცნებით?

პასუხი: 1. ღვთისმგმობელობა, ანუ უფლის მოხსენიება უხამსი სიტყვებით.

2. ღმერთზე დრტვინვა, ანუ მისი განგებულებით უკმაყოფილება.

3. მკრეხელობა, როდესაც წმიდა საგნებს დასცინიან ან შეურაცხყოფენ.

4. უყურადღებოდ ლოცვა.

5. ღვთისადმი მიცემული აღთქმების დარღვევა.

6. ფიცილი, ანუ ჩვეულებრივ საუბარში ფიცის დაუფიქრებლად გამოყენება.

მეოთხე მცნების შესახებ

კითხვა: რატომ არის ნაბრძანები — უფალს დაეთმოს მეშვიდე და არა რომელიმე სხვა დღე?

პასუხი: იმიტომ, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი განისვენა საქმეთაგან.

კითხვა: დღესასწაულობს თუ არა ქრისტიანული ეკლესია შაბათს?

პასუხი: არ დღესასწაულობს, როგორც სრულ დღესასწაულს, მაგრამ სამყაროს შექმნის ხსოვნისთვის და თავდაპირველი დღესასწაულის გასაგრძელებლად, სხვა დღეებთან შედარებით შემსუბუქებულია მარხვა.

კითხვა: როგორ სრულდება მეოთხე მცნება ქრისტიანულ ეკლესიაში?

პასუხი: იღვესასწაულება ყოველი ექვსი დღის შემდგომი — მეშვიდე დღე; მხოლოდ შვიდი დღიდან არა უკანასკნელი — შაბათი, არამედ ყოველი შვიდეულის პირველი დღე — კვირა.

კითხვა: რა დროიდან იღვესასწაულება კვირადღე?

პასუხი: ქრისტეს აღდგომის დროიდანვე.

კითხვა: წმიდა წერილში ნახსენებია თუ არა კვირადღის დღესასწაულობის შესახებ?

პასუხი: ახალი აღთქმის წიგნში „საქმე წმიდათა მოციქულთაჲ“ ნახსენებია მოწაფეთა, ე.ი. ქრისტიანთა შეკრება „ერთსა მას შაბათსა“, ანუ შვიდეულის პირველ დღეს – კვირას – „განტეხად პურისა“, ე.ი. ზიარების საიდუმლოს აღსასრულებლად (საქმე 20,7).

კითხვა: მეშვიდე დღის ანუ შაბათის მსგავსად კიდევ რა აღინიშნება?

პასუხი: ძველი აღთქმის ეკლესიაში შაბათის მსგავსად აღინიშნებოდა სადღესასწაულოდ ან მარხვისთვის დადგენილი სხვა დღეები, მაგალითად, პასექის დღესასწაული, განწმენდის დღე; ასევე ქრისტიანულ ეკლესიაშიც, გარდა კვირადღისა, დაცული უნდა იქნეს ღვთის სადიდებლად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმინდანთა პატივსაცემად დადგენილი დღესასწაულები და მარხვები.

კითხვა: რომელია უმნიშვნელოვანესი დღესასწაულები?

პასუხი: 1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა.

2. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება ღვთისთვის მისაძღვნელად.

3. ხარება, ანუ მთავარანგელოზ გაბრიელის უწყება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი – მისგან ძე ღვთისას განხორციელების შესახებ.

4. ქრისტეს შობა.

5. უფლის ნათლისღება და ყოვლადწმიდა სამების გამოცხადება.

6. მიგებება – მართალ სიმეონისგან უფლის მიქუმა (ხელში აყვანა) იერუსალიმის ტაძარში.

7. უფლის ფერისცვალება.

8. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში (ბზობა).

9. პასეჟი, უფლის აღდგომის დღესასწაული – დღესასწაული დღესასწაულთა.

10. უფლის ზეცად ამაღლება.

11. მეერგასე (ორმოცდამეათე) დღე, სულთმოფენობა – სულიწმიდის გარდამოსვლის აღსანიშნავად და ყოვლადწმიდა სამების სადიდებლად.

12. ჯვართამაღლება – ამაღლება უფლის პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა, რომელიც წმიდა დედოფალმა ელენემ იერუსალიმში, გოლგოთაზე იპოვა.

13. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება.

კითხვა: რომელია უმნიშვნელოვანესი მარხვა?

პასუხი: დიდმარხვა, ანუ ორმოცდღიანი წმინდა მარხვა.

კითხვა: რატომ ეწოდება ორმოცდღიანი?

პასუხი: იმიტომ, რომ გრძელდება ორმოცი დღე, ქრისტეს ვნებათა შვიდეულის გამოკლებით.

კითხვა: რატომ დაწესდა, რომ დიდმარხვა ორმოც დღეს გრძელდებოდეს?

პასუხი: თავად იესო ქრისტეს მაგალითის მიხედვით – იგი ხომ ორმოც დღეს მარხულობდა (იხ. მათ. 4,2).

კითხვა: რატომ არის დაწესებული მარხვა ოთხშაბათსა და პარასკევს?

პასუხი: ოთხშაბათს – იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემისა და იუდეველთაგან მისი შეპყრობის გასახსენებლად; პარასკევს – ჩვენი უფლის ვნებისა და სიკვდილის ხსოვნისთვის.

კითხვა: რატომ დაწესდა შობის, მიძინებისა და მოციქულთა მარხვები?

პასუხი: პირველი ორი იმიტომ, რომ წინასწარი თავშეკავებით პატივი მივაგოთ ამ მარხვების დამაგვირგვინებელ ქრისტეშობისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღე-

სასწაულებს, უკანასკნელი კი — მოციქულთა მისაბაძად, რომლებიც მარხვით ემზადებოდნენ სახარების საქადაგებლად (საქმ. 13,3).

კითხვა: როგორ უნდა გავატაროთ სადღესასწაულო დღეები მცნების მიხედვით?

პასუხი: ჯერ ერთი, ამ დღეებში არ უნდა ვიმუშაოთ, არ უნდა ვაკეთოთ საერო და ყოფითი საქმეები. მეორეც, საჭიროა მათი წმინდად დაცვა, ანუ ამ დროს ღვთის სადიდებლად უნდა აღვასრულოთ წმინდა და სულიერი საქმეები.

კითხვა: რატომ არის აკრძალული სადღესასწაულო დღეებში მუშაობა?

პასუხი: რათა დაუბრკოლებლად დაგვთმობთ ეს დღეები წმინდა და ღვთივსათნო საქმეებს.

კითხვა: მაინც რისი კეთება არის ჯეროვანი სადღესასწაულო დღეებში?

პასუხი: 1. ეკლესიაში მისვლა საზოგადო ღვთისმსახურებაზე დასასწრებად და საღვთო წერილში განსასწავლად.

2. აგრეთვე, სახლში ლოცვა და წმიდა წიგნების კითხვა ან სულის მაცხოვრებელი საუბრები.

3. საკუთარი ქონების ნაწილის ღვთისთვის მიძღვნა; მისი გამოყენება ეკლესიისა და მის მსახურთა საჭიროებისთვის, უპოვართა მიმართ ქველმოქმედებისთვის; სნეულთა და საპყრობილეში დატყვევებულთა მონახულება და ქრისტიანული სიყვარულის გამომნატველი სხვა საქმეების აღსრულება.

კითხვა: მაგრამ ასეთი საქმეები სადავ დღეებშიც ხომ უნდა ვაკეთოთ?

პასუხი: კარგია, ვისაც ამის საშუალება აქვს. ხოლო ვისაც სამუშაო აბრკოლებს, ისინი სადღესასწაულო დღეებში მაინც უნდა განიწმინდონ კეთილი საქმეებით. აუცილებლად საჭიროა ლოცვა ყოველდღიურად — დილა-საღამოს, სადილისა და ვახ-

შმის, შეძლებისდაგვარად კი, ყოველი საქმის დასაწყისსა და დასასრულს.

კითხვა: რა უნდა ვიფიქროთ მათზე, ვინც დღესასწაულებზე საკუთარ თავს ნებას აძლევს, მონაწილეობდეს თამაშებსა და სანახაობებში, ისმენდეს უჯერო საერო სიმღერებს, თავშეუკავებლად ჭამდეს და სვამდეს?

პასუხი: ასეთი ადამიანები უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ დღესასწაულების სიწმინდეს; თუ წმინდა დღეებისთვის შეუფერებლად ითვლება უწყინარი და წარმავალი ცხოვრებისთვის სასარგებლო სამუშაოები, მით უფრო მიუღებელია უსარგებლო, ხორციელი და მანკიერი საქმეები.

კითხვა: მეოთხე მცნება, ექვსდღიან შრომას რომ ეხება, ამით ხომ არ კიცხავს მათ, ვინც არაფერს აკეთებს?

პასუხი: უეჭველად, კიცხავს მათ, ვინც სადავ დღეებში თავიანთი წოდების შესაფერისად არ საქმიანობენ და უქმად ფანტავენ დროს.

მესამე მცნების შესახებ

კითხვა: რა განსაკუთრებულ მოვალეობას გვაკისრებს მესამე მცნება ზოგადი მითითებით, პატივი ვცეთ მშობლებს.

პასუხი: 1. პატივისცემით მოვექცეთ მათ.

2. დავემორჩილოთ, თუკი ღვთის მცნების საწინააღმდეგოს არ გვთხოვენ.

3. ვარჩინოთ და ყოველმხრივ შევეწიოთ.

4. როგორც მათ სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც ვილოცოთ მათი სულების გადასარჩენად და ერთგულად შევასრულოთ ჩვენთვის ანდერძად დანაბარები, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საღვთო სჯულსა და სამოქალაქო კანონებს (2 მაკაბ.

12,43-44; იერ. 35,18-19. ღირსი იოანე დამასკელი, სიტყვა მიცვალებულთა შესახებ).

კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ მშობლების უპატივცემულობის ცოდვის სიმძიმე?

პასუხი: რამდენადაც იოლი და ბუნებრივია სიყვარული და პატივისცემა მშობლებისა, ვინც სიცოცხლე გვაჩუქა, იმდენად მძიმეა მათი უპატივცემულობის ცოდვა. მოსეს სჯულის თანახმად, სიკვდილით ისჯებოდა მამის ან დედის ბოროტისმეტყველი (გამ. 21,16).

კითხვა: მაინცდამაინც მშობლების პატივისცემის მცნებას რატომ ერთვის კეთილდღეობისა და დღეგრძელობის დაპირება?

პასუხი: ეს იმიტომ, რომ თვალსაჩინო ჯილდოს მოლოდინში უფრო მეტად მოვიწოდებით ამ მცნების შესრულება, რომელსაც ეფუძნება წესრიგი, ჯერ ოჯახში და შემდეგ — საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კითხვა: როგორ სრულდება ეს დანაპირები?

პასუხი: ძველ პატრიარქთა და პირველმამათა მაგალითები გვიჩვენებს, რომ ღმერთი განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს მშობლებისგან დალოცვას (დაბ. 27). „კურთხევამან მამისამან დაამტკიცნეს სახლნი შვილთა ზედა“ (ზირ. 3,9). ღმერთი, თავისი ბრძნული და სამართლიანი განგებულებით, გამორჩეულად იცავს მათ სიცოცხლეს და უქმნის კეთილდღეობას ამქვეყნად, ვინც პატივს სცემს მშობლებს, ხოლო სათნოებისთვის საბოლოო ჯილდოდ უბოძებს უკვდავ და ნეტარ ცხოვრებას ზეციურ სამშობლოში.

კითხვა: მშობლები ყველაზე წინ რატომ იხსენიებიან მცნებებში, რომლებიც მოყვასისადმი სიყვარულს გვავალებენ?

პასუხი: იმიტომ, რომ ბუნებრივად ჩვენთან ყველაზე ახლოს მშობლები არიან.

კითხვა: მეხუთე მცნების მიხედვით მშობლებში კიდევ ვინ-მე ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ?

პასუხი: უნდა ვიგულისხმოთ ყველა, ვინც მშობლების მაგივრობას გვიწევს.

კითხვა: ვინ გვიწევს მშობლების მაგივრობას?

პასუხი: 1. მწყემსები და სულიერი მასწავლებლები – ისინი სწავლებითა და საიდუმლოებებით გვბადებენ და გვზრდიან სულიერ ცხოვრებაში.

2. ჩვენი აღმზრდელები, ნათლიები.

3. ასაკით უფროსნი.

4. კეთილისმყოფელნი.

5. სხვადასხვა სახის ხელისუფლება ქვეყანაში.

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი მწყემსთა და სულიერ მოძღვართა შესახებ?

პასუხი: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენტა და ერჩლით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენტათვის, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ“ (ებრ. 13,17).

კითხვა: არის თუ არა წმიდა წერილში განსაკუთრებული მითითება, ისეთივე პატივი მივაგოთ ასაკით უფროსებს, როგორც მშობლებს?

პასუხი: პავლე მოციქული სწერს ტიმოთეს: „მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ ჰლოცევდ ვითარცა მამასა, ჭაბუკთა – ვითარცა ძმათა, მოხუცებულთა დედათა – ვითარცა დედათა“ (1 ტიმ. 5,1-2).

„წინაშე პირსა მხცოვანისასა ზე აღუდგე და პატივ-სცე პირსა მოხუცებულისასა და გეშინოდენ ღმრთისა ცხოველისა“ (ლევიტ. 19,32).

კითხვა: როგორ დავრწმუნდეთ, რომ კეთილისმყოფლებს ისეთივე პატივი უნდა მივაგოთ, როგორც მშობლებს?

პასუხი: თავად იესო ქრისტეს მაგალითით, რომელიც იოსებს ემორჩილებოდა იმის მიუხედავად, რომ იოსები მხოლოდ აღმზრდელი იყო მისი და არა მშობელი (ლუკ. 2,51).

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი ხელისუფალთა პატივისცემის შესახებ?

პასუხი: „ყოველი სული ხელმწიფებასა მას უმთავრესისა და ემორჩილენ; რამეთუ არა არს ხელმწიფებაჲ გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან. ამიერითგან რომელი ადგებოდის ხელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა ადგების“ (რომ. 13,1-2);

„მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“ (მათ. 22,21);

კითხვა: ვინ არიან ქვეყნის ხელისუფალნი, რომელთაც მშობლების მსგავსად უნდა მივაგოთ პატივი?

პასუხი: ისინი, ვინც მშობლების მაგიერ ზრუნავენ ჩვენს აღზრდაზე, ანუ სასწავლებლის მმართველნი და მოძღვარნი; ვინც საზოგადოებაში უწესრიგობისა და არეულობისგან გვიცავს, ანუ სამოქალაქო მთავრობანი; ისინი, ვინც ჩავკრისგან გვიცავს კანონის ძალით — მსაჯულნი; ვისაც სახელმწიფო ხელისუფლება ანდობს მტერთაგან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და შენარჩუნებას — სამხედრო მთავრობანი; ასეთებად გვევლინებიან ბატონები იმ მსახურთათვის, ვისაც ისინი პატრონობენ.

კითხვა: რა მოვალეობებს გვაკისრებს წმიდა წერილი სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიმართ?

პასუხი: „მისცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა: სანარკოსა — ნარკი, საზუერესა — ზუერი, საშინელსა — შიში, პატივსა — პატივი“ (რომ. 13,7).

კითხვა: რაოდენ ძლიერ უნდა გვიყვარდეს სამშობლო?

პასუხი: მზადყოფნამდე, სიცოცხლე გავიღოთ მისთვის (იოან. 15,13).

კითხვა: თუ წმიდა წერილი გვაკისრებს მშობლების მიმართ მოვალეობებს, იმავეს ხომ არ გვაკისრებს შვილების მიმართაც?

პასუხი: იგი მშობლებსაც აკისრებს შვილების მიმართ სათანადო მოვალეობებს.

„მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენტა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისადათა“ (ეფეს. 6,4).

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი მწყემსის მოვალეობაზე სულიერი სამწყსოს მიმართ?

პასუხი: „მწყსიდით თქუენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა, იღუწიდით ნუ იძულებით, არამედ ნებსით, ნუცა საძაგელისა შეძინებით (ანუ მომხვეჭელობით — მთარგმნ. შენიშვნა), არამედ გულს-მოდგინედ. ნუცა ვითარმცა ეუფლებოდეთ მნეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას (1 პეტ. 5,1-3).

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი მთავრობათა და მფლობელთა მოვალეობების შესახებ?

პასუხი: „უფალნი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათა; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4,1).

კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ მოხდა და მშობლებმა ან მთავრობამ მოგვთხოვა ის, რაც სარწმუნოებას ან საღვთო სჯულს ეწინააღმდეგება?

პასუხი: არ უნდა დავემორჩილოთ და უნდა გუთხრათ, რაც მოციქულებმა უპასუხეს იუდეველ მთავრებს: „უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროჲს, ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ“ (საქმ. 4,19); სარწმუნოებისა და საღვთო

სჯულისთვის უნდა დავითმინოთ ყოველივე, რაც ამას შედეგად მოჰყვება.

კითხვა: საერთოდ, რა ვუწოდოთ იმ სათნოებას, რასაც მე-ხუთე მცნება ითხოვს?

პასუხი: მორჩილება.

მეექვსე მცნების შესახებ

კითხვა: რა იკრძალება მეექვსე მცნებით?

პასუხი: მკვლელობა, ანუ მოყვასისთვის სიცოცხლის წართმევა ნებისმიერი გზით.

კითხვა: სიცოცხლის ნებისმიერი ხელყოფა ითვლება თუ არა სჯულის დამარღვეველ მკვლელობად?

პასუხი: სჯულის დამარღვეველი არ არის მკვლელობა, როდესაც სიცოცხლეს ხელყოფენ მოვალეობის გამო, მაგალითად:

1. როდესაც განაჩენის თანახმად დამნაშავეს სიკვდილით სჯიან.

2. როდესაც მომხდურს კლავენ სამშობლოსათვის ბრძოლაში.

კითხვა: რა უნდა ვიფიქროთ შემთხვევით, წინასწარგანზრახვის გარეშე ჩადენილ უნებლიე მკვლელობაზე?

პასუხი: უნებლიე მკვლელი უდანაშაულოდ ვერ ჩაითვლება, თუ არ გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე, რითაც შეეძლო შემთხვევის თავიდან აცილება; ყოველ შემთხვევაში, ეკლესიის დადგინების თანახმად, იგი საჭიროებს სინდისის განწმენდას.

კითხვა: რა შემთხვევები შეიძლება ჩაითვალოს სჯულის დამარღვეველ მკვლელობად?

პასუხი: გარდა სჯულის პირდაპირ დამარღვეველი მკვლევლობისა (ნებისმიერი იარაღით), ამავე დანაშაულს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი შემთხვევები:

1. როდესაც მსაჯული დამნაშავედ ცნობს განსასჯელს, რომლის უდანაშაულობაც მისთვის ცნობილია;

2. როდესაც ვინმე შეიფარებს ან გაათავისუფლებს მკვლელს და ამით ახალი მკვლევლობის ჩადენის საშუალებას მისცემს;

3. როდესაც ვინმეს შეეძლო მოყვასის ხსნა სიკვდილისგან, მაგრამ არ იხსნა; მაგალითად, თუ მდიდარი ლატაკის შიმშილისგან სიკვდილს დაუშვებს, თუ ექიმი ავადმყოფს არ მიხედავს ან გულგრილობითა და უყურადღებობით არასწორად უმკურნალებს.

4. როდესაც ვინმე მისდამი დაქვემდებარებულებს ძალ-ღონეს აცლის მძიმე სასჯელებითა და სამუშაოთი, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, და ამით ქვეშევრდომთა სიკვდილს აჩქარებს.

5. როდესაც ვინმე თავშეუკავებლობით ან სხვა მანკიერებებით იმოკლებს საკუთარ სიცოცხლეს.

კითხვა: როგორ შევაფასოთ თვითმკვლელობა?

პასუხი: იგი მკვლევლობათაგან ყველაზე მეტად არღვევს სჯულს. თუ არაბუნებრივია სხვა, ჩვენივე მსგავსი ადამიანის მოკვლა, მით უფრო ეწინააღმდეგება ბუნებას თვითმკვლევლობა. ჩვენი სიცოცხლე პირადი საკუთრება არ არის, იგი ეკუთვნის მის მომნიჭებელს – ღმერთს. თვითმკვლელობა ღმერთის სასოების დაკარგვა და ბოროტი სულების შთაგონების აღსრულებაა. და, რაც მთავარია, სიკვდილის გამო შეუძლებელია თვითმკვლელობის მონანიება, რადგან იმქვეყნიური ცხოვრებისთვის მზადება და ღვთისათვის სათნო სინანული სიკვდილისთანავე მთავრდება. აქედან გამომდინარე, თუ თვითმკვლე-

ლი სულიერად დაავადებული არ არის და შეგნებულად იკლავს თავს, მას ცხონების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

კითხვა: როგორ შევაფასოთ პირადი უთანხმოებების გადასაწყვეტი ორთაბრძოლა?

პასუხი: პირადი უთანხმოებების გადაწყვეტა სახელმწიფოს (ანუ სამსჯავროს) საქმეა. ორთაბრძოლის მონაწილე კი ამის ნაცვლად თვითნებურად მიმართავს ისეთ ქმედებას, რაც აშკარა სიკვდილით ემუქრება მასაც და მის მეტოქესაც; ორთაბრძოლაში შედის სამი საშინელი დანაშაული: სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხი, მკვლელობა და თვითმკვლელობა.

კითხვა: ხორციელი მკვლელობის გარდა, არსებობს თუ არა სულიერი მკვლელობაც?

პასუხი: სულიერი მკვლელობის სახეა ცდუნება, რითაც ვინმე მოყვასს უსჯულოებაში ან სხვა ცოდვაში ჩაითრევს, რასაც მისი სულიერი მკვლელობა მოჰყვება. მაცხოვარი ბრძანებს: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდლოს წისქვილი ვირით საფქველი ქელსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“ (მათ. 18,6).

კითხვა: ამის გარდა არსებობს თუ არა მკვლელობის შეფარული სახეებიც?

პასუხი: ამ ცოდვას გარკვეულწილად მიეკუთვნება ყველა საქმე და სიტყვა, რაც ეწინააღმდეგება სიყვარულს და უსამართლოდ არღვევს მოყვასის სიმშვიდეს ან უსაფრთხოებას; ბოლოს – მკვლელობად ითვლება შინაგანი სიძულვილი მოყვასისადმი, იმის მიუხედავად, გამოვლინდა თუ არა იგი. „ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმაჲ თვისი, იგი კაცის-მკვლელი არს“ (1 იოან. 3,15).

კითხვა: მოყვასის სიცოცხლის ხელყოფის საპირისპიროდ რა გვევალება?

პასუხი: გვევალება, შეძლებისდაგვარად გავუფრთხილდეთ მოყვასის სიცოცხლესა და კეთილდღეობას.

კითხვა: ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რა არის ჩვენი მოვალეობები?

პასუხი: 1. უსწავლელთა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლება.

2. ღარიბთა ტვირთის შემსუბუქება.

3. სნეულთა, პატიმართა, ქვრივ-ობოლთა, მწირთა დახმარება.

4. მწუხარეთა ნუგეშისცემა.

5. განსაცდელში ჩავარდნილთა შეწევნა.

6. ყველას მიმართ მშვიდობიანი დამოკიდებულება, სიყვარული და ზრუნვა.

7. განრისხებულებთან შერიგება.

8. ყველას მიტევება (პატიება) და მტრებისთვის სიკეთის ქმნა.

წმიდა წერილი გვასწავლის: „ძმანო, უკუეთუ ვინმე თქვენ შორის შესცთეს ჭეშმარიტებისაგან და თუ ვინმე მოაქციოს იგი, უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათაჲ (იაკობ. 5,19-20).

„ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაჲ, დღესა ბოროტსა იხსნას იგი უფალმან. უფალმან დაიცვას იგი და აცხოვნოს იგი და სანატრელ ყოს იგი ქუეყანასა ზედა, და არა მისცეს იგი ხელთა მტერთა მისთასა“ (ფსალმ. 40,1).

„უკუეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქუენნი“ (მათ. 6,14-15).

მეშვიდე მცნების შესახებ

კითხვა: რა იკრძალება მეშვიდე მცნებით?

პასუხი: მრუშობა.

კითხვა: ამ დასახელებაში რომელი ცოდვები იგულისხმება და იკრძალება?

პასუხი: პავლე მოციქული გვიჩვენებს: ქრისტიანებმა ამ სიბილწეებზე არც კი უნდა ისაუბრონ (ეფ. 5,3). მხოლოდ აუცილებლობის გამო, რომ ადამიანებმა ამ ცოდვათაგან თავი დაიცივან, მაინც საჭიროა ზოგიერთი მათგანის დასახელება:

1. სიძვა — ანუ უწესო ხორციელი სიყვარული ჯვარდაუწერელთა შორის.

2. მრუშობა — როდესაც ჯვარდაწერილი ადამიანი ცოლქმრულ სიყვარულს უკანონოდ იყოფს გარეშე პირთან, ანუ ღალატობს თავის მეუღლეს.

3. სისხლის აღრევა — როდესაც ცოლქმრული კავშირის მსგავსი ურთიერთობა ახლო ნათესავებთან მყარდება.

კითხვა: მაცხოვრის სწავლების თანახმად, როგორ უნდა განვსაჯოთ მრუშობა?

პასუხი: მაცხოვარმა ბრძანა: „ყოველი, რომელი ჰხედვიდეს ღედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“ (მათ. 5,28).

კითხვა: როგორ მოვიქცეთ, რომ ამ შეფარულ, შინაგან მრუშობაში არ ჩავცვივდეთ?

პასუხი: თავი უნდა ავარიდოთ ყველაფერს, რამაც შეიძლება გულში აღგვიძრას უწმიდური გრძნობები და აზრები: ავხორცულ სიძღერებს, ცეკვებს, ბილწისიტყვაობას, მოურიდებელ თამაშებს, ხუმრობებსა და სანახაობებს, მემთვრალეობას, ისეთი წიგნების კითხვას, რომლებიც უწმიდურ სიყვარულზე მოგვითხრობენ, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან

თავისუფალ ურთიერთობას, გამომწვევ ჩაცმულობას, რომლი-
თაც სხვასაც ვაცდუნებთ და ჩვენს გულშიც არაწმინდა აზრებს
აღვძრავთ. სახარების თანახმად, უნდა ვეცადოთ არ ვუყუროთ
იმას, რაც გვაცდუნებს: „უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაც-
თუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უძჯო-
ბეს არს შენდა, რადთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდ-
რე ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა“ (მათ. 5,29).

კითხვა: ნუთუ ნამდვილად აუცილებელია, ამოვიღოთ თვა-
ლი, რომელიც გვაცდუნებს?

პასუხი: თვალი უნდა ამოვიღოთ ნებით (ნებისყოფით) და
არა ხელით. ვინც მტკიცედ გადაწყვიტა და არ უყურობს საც-
დურს, მან უკვე ამოიღო თავისი მაცდუნებელი თვალი.

კითხვა: მრუშობის ცოდვა გვეკრძალება, მაგრამ რა სათ-
ნობებიანი გვევალება?

პასუხი: გვევალება ცოლქმრული სიყვარული და ერთგუ-
ლება; ხოლო დაუქორწინებელ ახალგაზრდებს და იმათ, ვისაც
უბიწოდ ცხოვრება აქვს გადაწყვეტილი — სიწმინდე და უბიწო-
ება.

კითხვა: რას გვასწავლის წმიდა წერილი ქმრისა და ცო-
ლის მოვალეობების შესახებ?

პასუხი: „ქმართა გიყუარდედ ცოლნი თვისნი, ვითარცა
ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თვისი მისცა მის-
თვის“ (ეფ. 5,25).

„ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა
უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე
თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამი-
საჲ“ (ეფ. 5,22-23).

კითხვა: რას გვეუბნება წმიდა წერილი, რატომ უნდა ვე-
რიდოთ მრუშობას და წმინდად ვიცხოვროთ?

პასუხი: წმიდა წერილი გვიბრძანებს – დავიცვათ ჩვენი სხეულები წმინდად, როგორც „ასონი ქრისტესნი“ და „ტადარნი სულისა წმიდისანი“. მემრუშე კი, პირიქით, „თვისთა მიმართ ხორცთა ცოდავს“ (1 კორ. 6,15; 18-19), ანუ ხრწნის სხეულს, ასნეულებს და აზიანებს ისეთ სულიერ შესაძლებლობებსაც კი, როგორებიცაა წარმოსახვა და მესხიერება.

მერვე მცნების შესახებ

კითხვა: ზოგადად რას კრძალავს მერვე მცნება?

პასუხი: მოპარვას, ანუ იმის მითვისებას, რაც სხვას ეკუთვნის.

კითხვა: მაინც, რომელი ცოდვები იკრძალება ამ მცნებით?

პასუხი: უმთავრესი ცოდვებია:

1. ძარცვა, ანუ სხვისი ნივთის ცხადად, ძალით წართმევა;
2. ქურდობა, ანუ სხვისი ნივთის ფარულად მიტაცება.
3. მოტყუება, ანუ სხვისი კუთვნილის ცბიერებით მითვისება. მაგალითად, როდესაც ნამდვილის მაგიერ შეაპარებენ ყალბ ფულს, ხარისხიანი საქონლის ნაცვლად – უვარგისს; როდესაც ყალბი სასწორით ან საზომით ნავაჭრს აკლებენ; საკუთარ მამულს მალავენ, რათა გადასახადი არ გადაიხადონ; შეთანხმებას ან ანდერძს არ ასრულებენ; ქურდობაში დამნაშავეს ხელს აფარებენ და ამით დაჩაგრულს სამართლიანობის აღდგენის უფლებას ართმევენ.
4. სიწმინდეთმტაცებლობა (მკრეხელობა), ანუ მითვისება იმისა, რაც ღმერთისთვისაა მიძღვნილი და რაც ეკლესიას ეკუთვნის.
5. მექრთამეობა, როდესაც უკანონო საზღაურს იღებენ ქვემდგომთაგან ან განსასჯელთაგან; როდესაც ანგარებით აწინა-

ურებენ უღირსებს, ამართლებენ დამნაშავეებს, ავიწროებენ უდანაშაულოებს.

6. მუქთახრობა, როდესაც ჯამაგირს იღებენ სამსახურისთვის ან საფასურს საქმისთვის, მაგრამ სამსახურსა და საქმეს არ ასრულებენ; ამრიგად, ისინი ჯამაგირსა და საფასურთან ერთად იპარავენ იმ სარგებელსაც, რისი მოტანაც შრომით შეეძლოთ საზოგადოებისთვის ან პიროვნებისთვის; მუქთახრობაა ისიც, როდესაც ადამიანს შრომის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ უსაქმურადაა და მოწყალეობით ირჩენს თავს.

7. გამომძალველობა, როდესაც გარკვეული უფლების ძალით, სინამდვილეში კი, სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის უგულებელყოფით, თავის სასარგებლოდ იყენებენ სხვის საკუთრებას, სხვის შრომას ან მოყვასის გაჭირვებულ მდგომარეობას; მაგალითად, როცა გამსესხებელი მოვალეს სესხისთვის ვახშს სთხოვს; ან მეპატრონენი მათზე დამოკიდებულ ადამიანებს გაუსაძლისი გადასახადებით ან შრომით თრგუნავენ. გამომძალველობაა, როდესაც შიმშილობის დროს პურს მეტისმეტად ძვირად ყიდიან.

კითხვა: ეს ცოდვები გვეკრძალება, სამაგიეროდ რა სათნოებები გვევალება?

პასუხი: 1. უანგარობა.

2. ერთგულება.

3. მართლმსაჯულება.

4. გულმოწყალება, გლახაკთა და უძლურთა დახმარება.

კითხვა: ნუთუ ის, ვინც ლატაკებისადმი მოწყალებას არ იჩენს, მერვე მცნების საწინააღმდეგოდ სცოდავს?

პასუხი: რა თქმა უნდა, სცოდავს, თუკი მას დახმარების საშუალება აქვს. ყველაფერი, რაც გვაქვს, ღმერთს ეკუთვნის, ხოლო სიმდიდრე ღვთის განგებულებით გვეძლევა ღარიბთა დასახმარებლად; ამიტომაც, თუ ჩვენი ავლადიდებიდან მათ

არაფერს ვუწილადებთ, ამით მათ საკუთრებასა და ღვთის ნიჭს ვიტაცებთ ან ვმაღავთ.

კითხვა: რა ითვლება მერვე მცნების საწინააღმდეგო ცოდვების საპირისპირო უმაღლეს სათნოებად?

პასუხი: სათნოება, რომელსაც სახარება სთავაზობს არა როგორც საყოველთაო ვალდებულებას, არამედ როგორც რჩევას ღვთისმსახურებაში მოღვაწეობის მოშურნეებს – ეს არის სრული უპოვარება, ანუ ყოველგვარ საკუთრებაზე უარის თქმა. „უკუეთუ გნებავს, რაფთა სრულ იყო, წარვედ და განციდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათ. 19,21).

მეცხრე მცნების შესახებ

კითხვა: რა იკრძალება მეცხრე მცნებით?

პასუხი: მოყვასის ცილისწამება, აგრეთვე, ყოველგვარი ტყუილი.

კითხვა: რა ითვლება ცილისწამებად?

პასუხი: 1. ყალბი ჩვენება – როდესაც სამსჯავროზე ვილაცას ტყუილად დაასმენენ, უჩივლებენ ან ცრუმოწმედ დაუდგებიან.

2. ცრუმოწმობა სამსჯავროს გარეთ – როდესაც ზურგსუკან ცილს სწამებენ ან პირში მიახლიან უსამართლო ბრალდებას.

კითხვა: ნებადართულია თუ არა სხვათა გაკიცხვა, თუ მათ ნამდვილად ახასიათებთ მანკიერებანი?

პასუხი: სახარება ნებას არ გვაძლევს, განვსაჯოთ მოყვასი ნამდვილად არსებულ მანკიერებათა ან უღირსებათა გამო, თუ განსაკუთრებული ვალდებულება არ გვიხმობს, გამხილოთ ისინი.

უფალი გვამცნებს: „ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ“ (მათ. 7,1).

კითხვა: დასაშვებია თუ არა სიცრუის თქმა მოყვასისთვის ზიანის მიყენების განზრახვის გარეშე?

პასუხი: დაუშვებელია იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება მოყვასის სიყვარულსა და პატივისცემას და არასაკადრისია ადამიანისთვის, მით უფრო ქრისტიანისთვის, რომელიც ჭეშმარიტებისა და სიყვარულისთვის არის მოწოდებული.

„ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ“ (ეფეს. 4,25), – გვასწავლის პავლე მოციქული.

კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ მეცხრე მცნების საწინააღმდეგო ცოდვების თავიდან ასაცილებლად?

პასუხი: საჭიროა ენის დამორჩილება. „რომელსა ჰნებავს სიყვარული ცხორებისა და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხრვენ ენა თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვიედ ზაკუვასა (1 ჰეტ. 3,10).

„რომელსა ეგონოს თქუენ შორის, ვითარმედ ღმრთის მსახურ არს და არა აღვირ-ასხმიდეს ენასა თვისსა, არამედ აცთუნებდეს გულსა თვისსა, ამისი ამაო არს მსახურება“ (იაკობ. 1,26).

მეათე მცნების შესახებ

კითხვა: რა იკრძალება მეათე მცნებით?

პასუხი: ის სურვილები, რომლებიც ეწინააღმდეგება მოყვასის სიყვარულს და ამ სურვილებთან დაკავშირებული გულისსიტყვები (აზრები).

კითხვა: რატომ იკრძალება არა მხოლოდ უწესო საქმენი, არამედ უკეთური სურვილებიცა და ზრახვებიც?

პასუხი: ჯერ ერთი, სული, რომელშიც უკეთური გულის-
თქმები და ზრახვები ბუღობს, უკვე უწმინდურია ღვთის წინა-
შე და აღარ არის მისი ღირსი. ბრძენი სოლომონი ამბობს: „სა-
დაგელ უფლისა გულისსიტყუანი ცრუნი“ (იგავ. 15,26). ამი-
ტომაც არის საჭირო საკუთარი თავის განწმენდა ამ შინაგანი
სიბილწეებისგან, როგორც მოციქული გვასწავლის: „განვიწ-
მიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთაჲსა და
სულისა და აღვასრულებდეთ სიწმიდესა შიშითა ღმრთისაჲ-
თა“ (2 კორ. 7,1).

მეორეც – საჭიროა ცოდვილი გულისთქმებისა და ზრახვე-
ბის დათრგუნვა, რომელთაგან, როგორც თესლისგან, აღმოცენ-
დებიან ცოდვიანი საქმეები: „გულისაგან გამოვლენ გულის-
სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარ-
ვანი, ცილის წამებანი, გმობანი“ (მათ. 15,19). „კაცად-კაცადი
განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთე-
ბის. მერმე გულის თქუმაჲ იგი მიუდგის და შვის ცოდვაჲ და
ცოდვაჲ იგი სრულ იქმნის და შვის სიკუდილი“ (იაკობ. 1,14-15).

კითხვა: რომელი ვნება იგმობა მოყვასის საკუთრების სურ-
ვილის აკრძალვით?

პასუხი: შური.

კითხვა: რა იკრძალება სიტყვებით: „არა გული გითქუმი-
დეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა“?

პასუხი: იკრძალება ავხორცობით გამოწვეული ფიქრები
და სურვილები, ანუ შინაგანი მრუშობა.

კითხვა: რა იკრძალება სიტყვებით: „არა გული გითქუმი-
დეს სახლისათვის მოყუსისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არ-
ცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა,
არცა ყოვლისა მისთვის, რაჲცა იყოს მოყუსისა შენისა“?

პასუხი: იკრძალება ანგარებითა და ღიღებისმოყვარებით
აღძრული ფიქრები და სურვილები.

კითხვა: ამ აკრძალვების სანაცვლოდ რას გვავალებს მათე მცნება?

- პასუხი:** 1. გულის სიწმინდის დაცვას.
2. საკუთარი ზვედრით დაკმაყოფილებას.

კითხვა: როგორ ვებრძოლოთ ცოდვიან სურვილებსა და გულისსიტყვებს?

პასუხი: ცოდვიან სურვილებთან და გულისსიტყვებთან ბრძოლაში საუკეთესო იარაღებია ამ სურვილებისა და აზრების მონანიება აღსარების საიდუმლოში, ხშირი ზიარება, სხვების განკითხვისაგან თავის შეკავება და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხშირი და გულმოდგინე მოხმობა. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ქრისტიანი გულში მუდმივად უნდა ლოცულობდეს. განუწყვეტლივ ლოცვისთვის მართლმორწმუნენი ყველაზე ხშირად მიმართავენ იესოს ლოცვას: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. წმიდა გრიგოლ პალამა გვასწავლის: „დაე, ნურავინ იფიქრებს, ჩემო ძმებო, ქრისტიანებო, თითქოს მხოლოდ სამღვდელო პირებსა და მონაზვნებს ევალებათ განუწყვეტლივ და მარადის ლოცვა, და არა ერისკაცებს. არა, არა! ჩვენ ყველას, ქრისტიანებს გვევალება ყოველთვის ვლოცულობდეთ... როდესაც ვსხედვართ ხელსაქმისთვის, როდესაც დავდივართ, როდესაც საზრდელს ვიღებთ, როდესაც ვსვამთ, ყოველთვის შეგვიძლია ვილოცოთ გონებით და აღვასრულოთ გონებითი ლოცვა, ღვთისათვის სათნო, ჭეშმარიტი ლოცვა. სხეულით ვიმსახუროთ, ხოლო სულით ვილოცოთ“.

ათი მცნების განმარტება შედგენილია წმიდა მიტროპოლიტ ფილარეტ მოსკოველის კატეხიზმოზე დაყრდნობით.

შეადგინეს და თარგმნეს ნინო ბელთაძემ და ვლადიმერ წამალაშვილმა.

ცოდვა და სასჯელი

ეკლესიაში ყოველი მძიმე ცოდვისათვის დადგენილია გარკვეული სასჯელი, ანუ ეპიტიმია, რაც ძირითადად გულისხმობს მორწმუნის განყენებას ზიარებიდან, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – საზოგადო ლოცვიდან, აგრეთვე დამატებით ღვაწლს (გაძლიერებული ლოცვა, მარხვა, მეტანიები და სხვ.); სასულიერო პირებისთვის – მღვდელმოქმედების დროებით ან სამუდამო აკრძალვას, ზოგჯერ კი ზიარების აკრძალვასაც. სასჯელის მთავარი დანიშნულებაა – ადამიანმა შეიგრძნოს ცოდვის სიმძიმე და სინანულში ჩავარდეს, ცოდვა აღარ გაიმეოროს, სულიერად განიკურნოს. ეს ეხება არა ყოველდღიურ, არამედ მძიმე, ე. წ. სასიკვდილო ცოდვებს, ანუ ისეთ ცოდვებს, რომლებიც სულს მძიმე, სასიკვდილო ჭრილობებს აყენებს.

დღეს ადამიანთა სულიერი სისუსტისა და საცდურთა სიმრავლის გამო, როგორც წესი, ეპიტიმიები შემსუბუქებულია იმასთან შედარებით, რაც ეკლესიამ მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე დაადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვების გამო დღეს ისე მკაცრად აღარ სჯიან, ცოდვას თავისი დამღუპველი ზემოქმედება არ დაუკარგავს და დღესაც ისევე მიაქანებს თავის ტყვეებს სამუდამო სატანჯველში, როგორც საუკუნეების წინათ. ამიტომ ყოველი ქრისტიანისთვის სასარგებლოა იმის ცოდნა, თუ რომელია სასიკვდილო ცოდვები, რათა განერიდოს მათ. რაც უფრო დიდია ცოდვის დამღუპველი ზემოქმედება ადამიანის სულზე, მით უფრო მძიმე სასჯელია დაწესებული მისი ჩამდენისთვის. ახლა ვნახოთ, თუ რას გვასწავლის წმიდა წერილი და დიდი სჯულისკანონი ცოდვების შესახებ.

1. სარწმუნოების უარყოფა, ღვთის გმობა, კერპთა თაყვანისცემა, მკრეხელობა

წმიდა წერილი

„რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვეო იგი მე-ცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა (მათ. 10,33).

„ყოველმან რომელმან უარ-ყოს მე, არცა მამაჲ არს მის თანა“ (1 იოან. 2,3).

„ნუ სცთებით... კერპთმსახურთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9).

„რომელსა-იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ, და არა ღმერთსა; ხოლო მე არა მნებაჲს თქუენი ეშმაკთა ზიარებაჲ. ვერ ხელ-გეწიფების სასუმელი უფლისაჲ სუმაღ და სასუმელი ეშმაკთაჲ; ვერ ხელ-გეწიფების ტაბლასა უფლისასა ზიარებაჲ და ტაბლასა ეშმაკთასა“ (1 კორ. 10,20-21).

ღიღი სჯულისკანონი

ვინც ქრისტეს უარყოფს და მიატოვებს ხსნის საიდუმლოს, იგი უნდა შეუდგეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეტირილს და ვალდებულია თქვას აღსარება. მხოლოდ ცხოვრებიდან გასვლის ჟამს უნდა გახდეს იგი სიწმინდეთა ზიარების ღირსი ღვთის კაცთმოყვარეობის წყალობით (წმ. ბასილი დიდის კან. 73).

...სულის სიტყვიერი ანუ გონიერი ნაწილის მიერ ჩადენილი ცოდვა მამათაგან მიჩნეულია ყველაზე უფრო მძიმედ და უმაღლესი, უსასტიკესი და ხანგრძლივი სასჯელის ღირსად. მაგალითად, თუ ვინმე ქრისტეს სარწმუნოებას უარყოფს და ებრაულ სარწმუნოებას, კერპთმსახურებას, მანიქეველობას ან სხვა ამათ მსგავს უღმერთობას და ბოროტებას შეუერთდება

თავისი სურვილით და საკუთარი ნებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ შერცხვება და მოინანიებს, სინანულის დროდ ჰქონდეს მთელი მისი სიცოცხლე. იგი არასოდეს იქნება ღირსი, საიდუმლო ლოცვის დროს ერთან ერთად თაყვანი სცეს ღმერთს, არამედ უნდა ილოცოს მარტომ, ხოლო სიწმინდის ზიარება მისთვის საერთოდ აკრძალულია. მხოლოდ სიკვდილის წინ უნდა გახდეს ღირსი სიწმინდის ზიარებისა. თუ უიმედობის მიუხედავად, მაინც მოხდეს ისე, რომ არ მოკვდეს და დაუბრუნდეს სიცოცხლეს, ისევ იმავე სასჯელით იცხოვროს და იყოს უზიარებელი სიწმინდის საიდუმლოთაგან, სანამ არ დაუდგება ბოლო წუთები.

რაც შეეხება სატანჯველითა და ცემით საშინლად წამებულებს, ისინი განსაზღვრული დროით უნდა იქნენ განკანონებული წმიდა მამებისაგან კაცთმოყვარეობით, რადგან სულისაგან კი არ შეემთხვათ დაცემა, არამედ ხორციელი უძლურებისაგან: მათ ვერ გაუძლეს და სიმხნით წინ ვერ აღუდგნენ ტანჯვას. იძულებითა და უნებლიეთ სჯულის მოდალატემ მოქცევის შემდეგ უნდა შეასრულოს ის კანონი, რომელიც სიძვისაგან დაცემულისათვის განკუთვნილ სასჯელს ითვალისწინებს (წმ. გრიგოლ ნოსელის კან. 2).

ისინი, რომელთაც გადაიხადეს ვერცხლი, რათა ტანჯვა-წამებისაგან შეუშფოთებლად გადარჩენილიყვნენ, არ არიან დამნაშავენი: მათ გაიღეს ფულადი ხარჯი და დანაკარგი, რათა სული არ წარეწყმიდათ, რაც სხვებს არ გაუკეთებიათ ანგარებისმოყვარეობის გამო, თუმცა კი სმენიათ უფლისაგან: „რა სარგებლობას ნახავს ადამიანი, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, თუკი სულს დაკარგავს“ (მათე 16. 26) ანუ წარწყმელს? და კიდევ: „ვერ შეძლებთ, ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“ (ლუკა 16,13). ისინი მღევართა წინაშე ღვთის მსახურებად გამოჩნდნენ და ვერცხლის სიძულვილითა და არაფ-

რად ჩაგდებით აღასრულეს ნათქვამი, რომ „კაცის სულის ხსნა არის სიმდიდრე მისი“ (იგავი. 13, 8). მოციქულთა საქმეშიაც ვკითხულობთ, თუ როგორ გაათავისუფლეს ფულით თესალონიკეში პავლესა და შილას ნაცვლად ქალაქისთავთა წინაშე ძალით მიყვანილები. ურწმუნო ურთიებმა ქრისტეს სახელისთვის ისინი სასტიკად სცემეს, შემდგომ აღაშფოთეს ხალხი და ქალაქისთავები. ნათქვამია, რომ საკმარისად ბევრი ფული მიიღეს იასონისგან და სხვებისაგან, და გაუშვეს ისინი. „ხოლო ძმებმა მყის, იმ ღამესვე გაგზავნეს პავლე და შილა ბერიაში“ (საქმე 17, 9-10) (წმ. პეტრე ალექსანდრიელის კან. 12).

ამისთვის წმინდა კრებამ განსაზღვრა, რომ ვინც წმინდა ბარდიმს, ფეშხუმს, მარწუმს (საზიარებელ კოვზს), საკურთხევლის სამღვდლო შესამოსელს, პერექელს, ანუ ცას, ან საკურთხევლის შიგნით სამსახურებელ ყოველგვარ წმინდა ჭურჭელს ან შესამოსელს თავისი სარგებლობისათვის მიიტაცებს, ან სიწმინდეთა გარდა სხვა რამისთვის იხმარს, ის უნდა დაისაჯოს სრული განკვეთით. ვინაიდან ერთი მათგანი სიწმინდეთმკრეხელობაა, ხოლო მეორე შეგინება. ვინც საკურთხევლის გარეთ მყოფ საეკლესიო ჭურჭელს ან ნაქსოვს სიწმინდეთა გარდა თავისთვის ან სხვისთვის მოიხმარს, მათ კანონი უზიარებლობით დასჯის და ჩვენც მასთან ერთად უზიარებელვყოფთ. ხოლო მთლიანად მიმტაცებლებს სიწმინდეთმკრეხელთა კანონით და სასჯელით დავსჯით (კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების კან. 10).

2. მწვალებლობა და სარწმუნოებრივი ზიარება მწვალებლებთან

წმიდა წერილი

„ყოველივე რომელი გარდაჰხდებოდის და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს, ხოლო რომელი ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძეცა და მამაცა არს“ (2 იოან. 1,9).

„მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3,10).

ღიღი სჯულისკანონი

თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა, თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდლო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს (მოციქულთა კან. 42).

თუ ვინმე სასულიერო პირი ან ერისკაცი ურიათა ან მწვალებლების შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, სასულიერო პირი განიკვეთოს, და ერისკაცი უზიარებლობით დაისაჯოს (მოციქულთა კან. 65).

თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, ან სამღვდლო დასის სხვა წარმომადგენელმა ურიებთან ერთად იმარხვოს, ან იდღესასწაულოს მათთან ერთად, ან მიიღოს მათგან რაიმე სადღესასწაულო ძღვენი, მაგალითად, უცომო, ან სხვა რაიმე მსგავსი, განიკვეთოს. ერისკაცი უზიარებლობით დაისაჯოს (მოციქულთა კან. 70).

თუ ვინმე ქრისტიანმა ზეთი მიიტანოს წარმართულ ტაძარში ან ურიათა შესაკრებელში მათ დღესასწაულზე, ან სანთელი აანთოს, უზიარებელ იქნეს (მოციქულთა კან. 71).

მართლმადიდებელმა მამაკაცმა მწვალებელი დედაკაცი არ უნდა შეერთოს, არც მწვალებელ მამაკაცს უნდა შეეუღლოს მართლმადიდებელი დედაკაცი. თუ მოხდეს ასეთი რამ, ვისგანაც არ უნდა იყოს ოდესმე ჩადენილი, უკანონოდ და დაუმტკიცებლად ჩაითვალოს ასეთი ქორწინება და დაირღვეს უწესო თანამკვიდრობა, რადგან შეუერთებულთა შეერთება არ შეიძლება, არც ცხვრისა და მგლის ერთმანეთთან დაკავშირება იქნება და არც ქრისტეს ნაწილის ცოდვილთან შეერთება. ხოლო თუ ვინმემ დაარღვიოს ეს ჩვენი დადგენილება, უზიარებელ იქნეს (VI მსოფლიო კრების კან. 72).

3. წირვა-ლოცვის, მარხვის უგულებელყოფა, მომთვრალეობა (ლოთობა)

წმიდა წერილი

„იღვიძებდით და ილოცევდით, რაფთა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“ (მათ. 26,41).

„ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვი თქვენ: უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნედეს ცხორებაჲ თავთა შორის თქვენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანადსკნელსა მას დღესა“ (იოან. 6, 53-54).

„ხოლო ესე ნათესავი (ბოროტი სულები – მთარგმ. შენ.) არარაფთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათ. 17,21).

„არცა მომთრვალეთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9).

დიდი სჯულისკანონი

თუ ვინმე ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი ან სამღვდელოების სხვა წარმომადგენელი, ან ერისკაცი, რომელსაც არ აიძულებდეს რაიმე გაჭირვება ან მარცხიანი საქმე, მრავალი დღის განმავლობაში დააკლდეს ეკლესიას, ქალაქში ტრიალებდეს სამ კვირას და ამ სამი შვიდეულის (კვირის) განმავლობაში არ მივიდეს ეკლესიაში, თუ ეკლესიის მსახური იყოს, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი იყოს, ზიარების უფლება არ მიეცეს (VI მსოფლიო კრების კან. 80).

თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, კერძოდიაკონმა, წიგნისმკითხველმა, ან მგალობელმა წმინდა ორმოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, განიკვეთოს, თუ ხორციელი უძღურებით არ იყოს შეპყრობილი. თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს (მოციქულთა კან. 69).

თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, ან სამღვდელო დასის სხვა წარმომადგენელმა ჭამოს სისხლიანი ხორცი, მხეცის მოკლული, ან დამხრჩვალნი, განიკვეთოს, რადგან ეს რჯულმა განდევნა. თუ ერისკაცი იქნება ამის ჩამდენი, უზიარებლობით დაისაჯოს (შდრ. საქმე 15, 29) (მოციქულთა კან. 63).

ერისკაცთა და სასულიერო პირთაგან ნურავინ მიეცემა ამიერიდან შვება-თამაშსა და ლოთობას. ხოლო ვინც ჩაიდენს ამას, თუ სასულიერო პირი იქნება, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი – უზიარებელ იყოს (VI მსოფლიო კრების კან. 50).

4. მკვლელობა, თვითმკვლელობა, გინება

წმიდა წერილი

„გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა.

ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცულად, თანა-მღებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა რაკა, თანა-მღებ არს იგი კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანა-მღებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა. უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგესენოს შენ, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რადმე არს შენთვის, და უტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას და მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი“ (მათ. 5, 21-24).

„და კაცის-მკვლელთა... ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუმწუბითა მოტყინარესა, რომელ არს სიკუდილი იგი მეორე“ (გამოცხ. 21,8).

„არცა... მაგინებელთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,10).

დიდი სჯულისკანონი

ვინც განზრახ მოკლას კაცი და ამის შემდეგ მოინანიოს, ოცი წელი ნულარ ეზიარება ღვთის სიწმინდეს.

უნებლიე კაცისმკვლელი ათი წელი არ უნდა ეზიაროს სიწმინდეს (ბასილი დიდის კან. 57).

თუ ვინმემ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენოს თავის მოყვასს, იგი კაცისმკვლელია, სულერთია თვითონ დაჭრა პირველმა, თუ საპასუხოდ მიაყენა ჭრილობა შურისძიების მიზნით (ბასილი დიდის კან. 43).

ბრძოლის დროს ჩადენილი მკვლელობები ჩვენს მამებს არ მიაჩნიათ მკვლელობად, რადგანაც, როგორც მე მგონია, მათ შეუნდობენ, როგორც მოღვაწეებს სიწმინდისა და კეთილი მსახურებისათვის. მაგრამ იქნებ უკეთესია, ვურჩიოთ მათ, რო-

გორც ხელით არაწმინდებმა, სამი წლით თავი შეიკავონ საოდუმლოთა ზიარებისაგან (ბასილი დიდის კან. 13).

ხშირად ქალები ჯადოქრობითა და გრძნეული ძალებით თავს აყვარებენ მამაკაცებს. ამ მიზნით აძლევენ ისეთ წამალს, რომელიც გონებას უბნელებს მათ და კლავს. ასეთი სიკვდილიც, თუმცა სხვა იყო მათი მონდომების მიზეზი და სხვა აღსრულდა, უჯერო და უწესო ხერხების ხმარებისთვის განზრახ კაცისკვლად ჩაითვლება. ამათთან ერთად ისინიც, ვინც ფეხმძიმეებს მუცლის მოსაწყვეტ წამალს მისცემენ, კაცისმკვლელნი არიან და მათთან ერთად იგივე ბრალი ედება მიმღებსა და მომხმარებელს მათგან მომზადებული საწამლავისა. ესენიც იმდენადვე არიან დამნაშავენი (ბასილი დიდის კან. 8).

5. ჯადოქრობა

წმიდა წერილი

„და მწამლველთა (გრძნეულთა) და კერპთ-მსახურთა და ყოველთა მტყუვართა... ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუმწუბითა მოტყინარესა, რომელ არს სიკუდილი იგი მეორე“ (გამოცხ. 21,8).

„ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარმატებოდიან უძვირესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან. ხოლო შენ დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს“ (2 ტიმ. 3,13-14).

„და მრავალთა გრძნების მოქმედთა მოკრიბნეს წიგნები მათი და დასწუვიდეს წინაშე ყოველთასა“ (საქმე 19,19).

დიდი სჯულისკანონი

ვინც თავისი გრძნეულობა ან მომწამვლელობა აღიაროს, კაცის მკვლელის სასჯელი მოიხადოს (ბასილი დიდის კან. 65).

ის ვინც გაჰყვება საწარმართო ჩვეულებას და სახლში შეიყვანს ბოროტად გრძნეულებს წამლობისა და მისნობისათვის, განკანონებულ უნდა იყოს ექვსი წლით (ბასილი დიდის კან. 83).

ვინც მიენდობა მისნებს ან ასისთავად წოდებულებს (ასე ეწოდებოდათ უხუცეს მოგვებს), ან სხვა ამგვართ, რათა მათგან სწავლით რაიმე გამოეცხადოს მათ, ექვსი წლით უზიარებლობით განკანონება მიესაჯოს მათ მამათა მიერ განწესებული დადგენილებისამებრ. ამავე კანონით საჭირო არის იმათი განკანონება, ვინც დაატარებს დათვს და სხვა ცხოველს მარტივი, უბრალო ადამიანების გასართობად და სავენებლად, ვინც (მკითხაობს) სვე-ბედისა და შობის დღის შესახებ და ამნაირ სიტყვებს ერის საცდუნებლად ამბობს, ვისაც ეწოდებათ ღრუბელთმდევენენი, მსახვრალნი (თილისმის მკეთებელნი), გრძნეულნი. თუ ისინი განაგრძობენ მისწრაფებას სულის მომსპობი და წარმართული (ელინური) ჩვეულებებისადმი, დავადგენთ მათ გაძევებას ეკლესიიდან, როგორც ამბობენ საღვთო კანონები, რადგან „რა აქვს საერთო სინათლეს სიბნელესთან“ (2 კორ. 6, 14), როგორც ამბობს მოციქული, „როგორ შეესატყვისება ღვთის ტადარი კერპებს? რა თანამონაწილეობა აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან? რა თანხმობაა ქრისტესა და ბელიარს შორის?“ (2 კორ. 6, 15-16) (VI კრების კან. 61).

ზოგიერთები თვის დასაწყისში სავაჭროს, ან თავიანთი სახლის წინ ანთებენ ცეცხლს, რომელსაც ახტებიან გიჟებით ძველი ჩვეულებისამებრ. ამიერიდან ამის ქმნას ვკრძალავთ და ამის შემდეგ ვინც ასეთი რამ გაბედოს, თუ სასულიერო პირი იყოს – განიკვეთოს, თუ ერისკაცი იყოს – უზიარებელ იქნეს. მეფეთა მეოთხე წიგნში (რომელიც აგრეთვე კრძალავს ამგვარ საქციელს) წერია: „აუშენა მანასემ ცის ყველა ძალას საკურთხეველი უფლის სახლის ორ ეზოში და გაატარა თავისი შვი-

ლები ცეცხლში. მისნობდა იგი, მოიხმო მკითხავეები და გრძნეულნი განამრავლა უფლის წინაშე ბოროტის საქმნელად და მის განსარისხებლად“ (4 მეფეთა 21, 5-6) (VI კრების კან. 65).

6. სიძვა-მრუშობა

წმიდა წერილი

„მეძავნო და მეძრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობა არს ღმრთისაჲ? აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ (იაკობ. 4,4).

„პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მეძრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ებრ.13,4).

„გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყვი ითქუნ, რამეთუ ყოველი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“ (მათ. 5, 27-28).

„არცა მეძავთა... არცა მეძრუშეთა... სასუფეველი ღმრთისჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9).

ღიღი სჯულისკანონი

ვინც ისიძვოს, შვიდი წელი სიწმინდეთა უზიარებელი იყოს (ბასილი ღიღის კან. 59).

ვინც იმრუშოს, თხუთმეტ წელიწადს იყოს სიწმინდეთა ზიარების გარეშე (ბასილი ღიღის კან. 58).

ვინც მამათა აღრევის უშვერება ჩაიღინოს, მრუშობისათვის დაწესებული სასჯელი მოიხადოს იმავე სახით (ბასილი ღიღის კან. 62).

ქრისტე ღმერთმა თავის სახარებაში დააწესა ცოდვათა დასაბამის აღმოფხვრა, ვინაიდან ისჯება არა მხოლოდ მრუშობა, არამედ მრუშობისკენ მიმართული აზრის მოძრაობაც. მისი სიტყვით, „ვინც დედაკაცს გულისთქმით შეხედავს, უკვე იმრუშა თავის გულში“ (მათე 5, 28). ეს გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა გავწმინდოთ ჩვენი ზრახვები, ვინაიდან თუმცა „ყოველივე ნებადართულია ჩვენთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (I კორ. 10. 23), როგორც გვამცნობს მოციქულის ხმა (VII კრების კან. 22).

„მართლად ხედავდნენ შენი თვალები“ (იგავ. 4, 25) და „ყოვლითა დაცვითა დაიცავი გული შენი“ (იგავ. 4, 23). სიბრძნე გიბრძანებს შენ, რომ ხორცის გრძნობადი ბუნება ადვილად შეიტანს სულში თავის ნაგრძნობს. ამიტომ ფიცარზე ან სხვა საგანზე გამოსახული და მოხატული, რომელიც თვალით აღიქმება, გონებას გახრწნის და ბილწი გემოს ძლიერი სურვილით ალატყინებს, ვბრძანებთ ამიერიდან არ გამოსახონ და არც დახატონ არსად. თუ ვინმემ ამის ქმნას ხელი მიჰყო, უზიარებელ იქნეს (VI კრების კან. 100).

7. ქურდობა, ავაზაკობა

წმიდა წერილი

„არცა მპარავთა... არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,10).

ღიღი სჯულისკანონი

თუ ქურდმა თვითონ მოინანიოს და თავი თვითონ გაამჟღავნოს, მხოლოდ ერთი წელი აეკრძალოს მას სიწმინდეთა ზიარება. თუ სხვამ ამხილოს, ორ წელიწადს არ უნდა ეზიაროს (ბასილი დიდის კან. 61).

ნურვინ იცდუნებს თავს იმით, რომ იპოვა უცხო რაიმე, რადგან არც ნაპოვნი არ უნდა გახდეს ანგარების წყარო. მეორე სჯულისაში ნათქვამია: „თუ იპოვნი შენი ძმის გზაბნეულ ხბოსა და ცხვარს, გაიდენე ისინი წინ და დაუბრუნე შენს ძმას. თუ ახლოს არ არის შენი ძმა და არც არა იცის რა მან, თავი მოუყარე მათ, მიიყვანე შენთან, სანამ არ მოსძებნის მათ შენი ძმა და მიეცი ისინი მას. ასე მოექცეცე მის ვირსაც, მის სამოსელსაც, ასევე უყავ ყველაფერს დაკარგულს შენი ძმისას, რაც მან დაკარგა და შენ იპოვნე“ (მეორე სჯ. 22,1-3). ამას ამბობს მეორე სჯულისა, ხოლო გამოსლვათა წიგნში ნათქვამია: არა ხოლო თუ ძმის რაიმე ვინმემ იპოვოს, არამედ მტრისაც, ისიც უნდა დააბრუნოს მათი პატრონის სახლში (გამოსლ. 23,4). თუ არ შეიძლება, რომ მშვიდობიან დროში ვინმე ნეტარებას ეძლეოდეს, ზარმაცობდეს, თავისას არად აგდებდეს და ძმისას და მტრისას იხვეჭდეს, რამდენად უფრო დაუშვებელი და უჯეროა ამის ქმნა ძნელბედობის, მომხვდური მტრისაგან ღტოლვის, გაჭირვების გამო საკუთარი ქონების მიტოვების ჟამს (წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის კანონიკური ეპისტოლედან).

ხოლო ვინც ფარულად მოიხვეჭს სხვის ქონებას და ამის შემდეგ თავს გაამხელს ცოდვის აღიარების დროს მღვდლის წინაშე, მონდომებით აღუდგება წინ ვნებას და განკურნავს დაავადებას, ასეთმა თავისი ქონება უნდა გაუყოს გლახაკებს, რომ იმისი დაფანტვით, რაც აქვს, ცხადად გამოჩნდეს მისი განწმენდა ანგარების სენისაგან. თუ არაფერი ჰქონდეს, გარდა სხეულისა, მოციქული უბრძანებს, რომ ხორციელი შრომით უნდა განიკურნოს მისი ვნება. მოციქული გვეუბნება: „მპარავი ნულარ იპარავს, არამედ მეტი იშრომოს და ქნას სიკეთე, რომ ჰქონდეს მისაცემელი მისთვის, ვისაც სჭირდება“ (ეფეს. 4,28) (წმ. გრიგოლ ნოსელის კან. 6).

8. ანგარება, მევახშეობა, შური

წმიდა წერილი

„არცა ანგაპრთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიძკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10).

„რამეთუ სადა არს შური და ხლომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე“ (იაკობ. 3,16).

„განიშორეთ უკუე ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი ზაკუვაჲ და ორგულებაჲ და შური და ყოველივე ძვირის სიტყუაჲ“ (1 პეტრ. 2,1).

„რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი“ (მათ. 5,42).

„ხოლო აწ მივწერე თქვენდა: ნუ თანა-აღერევით, უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელდებულ იყოს მეძავ ანუ ანგაპრ, გინა კერპთ-მსახურ, გინა მაგინებელ, გინა მომთრვალე, ანუ მტაცებელ; ესევითარისა მის თანა არცალა ჭამად“ (1 კორ. 5,11).

„და ესემცა უწყით, რამეთუ ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაპრსა, რომელ არს კერპთ-მსახური, არა აქუს მკვიდრობა სასუფეველსა ქრისტესსა და ღმრთისასა“ (ეფეს. 5,5).

ღიღი სჯულისკანონი

ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, რომელიც იღებს ვახშს და აღნადგინებს (პროცენტს), უნდა შეწყვიტოს ეს მოქმედება, ან განიკვეთოს (6 კრების კან. 10).

საღვთო წერილის მიერ უარყოფილია ქონების სიყვარული, ვახში, აღნადგინები, ძალადობით თავის ქონებაზე სხვისის დამატება, თუნდაც ამას ვაჭრობის, შეთანხმების სახე ჰქონდეს (წმ. გრიგოლ ნოსელის კან. 6).

9. ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე

წმიდა წერილი

„ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“ (მათ. 7,1-2).

„ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ?“ (1 კორ. 6,9).

„გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ხელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა“ (მათ. 15, 19-20).

დიდი სჯულისკანონი

ვინც ცრუდ დაიფიცოს, ათი წელი უზიარებელი იყოს (წმ. ბასილი დიდის კან. 64).

დიდი სჯულისკანონის ციტატები გადმობეჭდილია 1987 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდრიდან მცირედი შესწორებით.

საუბრები ათონელ ბერებთან

მამა გაბრიელი: შეიძლება მომთვრალეს ჰქონდეს ცხოვნების იმედი?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი (ათონის მთიდან): წმ. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ერთმნიშვნელოვან პასუხს გვაძლევს: „ნუ სცთებით: არცა მეძავთა... არცა მომთრვალეთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10). ლოთობა, როგორც ნეტარი ავგუსტინე გვასწავლის, ყოველგვარი გარყვნილების სათავეა (ეფეს. 5,18). და არა მარტო გარყვნილების წყაროა იგი; ლოთი სატანის ჭურჭელი ხდება, – ამტკიცებს წმ. თეოდოსი (XI ს.). წმ. მამათა სწავლებების კრებულში ვკითხულობთ: „სატანა ლოთის დანახვაზე განსაკუთრებით ხარობს, რადგან იგი ყოველივეში მისი მორჩილია“. ასე რომ, თუკი მომთვრალე ეშმაკის მსახურია და არა ღვთისა (ადამიანს ღვთის მსახურება შეეფერება), მაშ როგორღა უნდა ჰქონდეს მას გადარჩენის იმედი? ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას კრებების დადგენილებებიც კრძალავს (კან. წმ. მოციქულთა, 43), განსაკუთრებით სასულიერო პირთათვის (კან. წმ. მოციქულთა, 42).

მამა გაბრიელი: მეუფეო, რას იტყოდით სიგარეტის მოწევის შესახებ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: რამდენადაც დასაშვებია ალკოჰოლის ზომიერი მიღება, იმდენად აბსურდული და დაუშვებელია მოწევა. მას ადამიანისათვის სარგებლობა საერთოდ არ მოაქვს; იგი ორგანიზმის დაავადებისა და დასუსტების მიზეზია. და რაც ყველაზე საშინელია, მოწევა წარმართული რიტუალების ბეჭედს ატარებს და ქრისტიანის სულს ანადგურებს.

მოწევა გაცილებით გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე ლოთობა, ამიტომ ვერც წმიდა წერილში და ვერც პირველი საუკუნეების

ეკლესიის მამათა ნაწერებში ვერ ვიპოვით მოწვევის პირდაპირ აღწერას ან აკრძალვას. მიუხედავად ამისა, ეს მოვლენა უყურადღებოდ არ დარჩენია წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელს (XVIII ს.), „უხილავი ბრძოლის“ ავტორსა და „ფილოკალიის“ რედაქტორს... წმ. ნიკოდიმოსის განმარტებით მოწვევა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სათნოებებსა და ტრადიციულ ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებს. იგი ყოვლად დაუშვებელია სასულიერო პირებისათვის, რადგან ამცირებს და უპატიო-ჰყოფს მღვდლობის მაღალ ღირსებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანმრთელობის დაზიანებაზე. წმინდანი დაასკვნის: „როგორ შეიძლება ქრისტიანი, სული წმიდის ჭურჭელი, ეშმაკისეული უწმინდურობის სამკვიდრებელი გახდეს?“ (შდრ. იაკ. 1,21; გამოცხ. 5,8).

მამა გაბრიელი: საეკლესიო გადმოცემაში თუ მოიხსენიება რაიმე თამბაქოს მოწვევის შესახებ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: ნაკლებად. თუმცა ამის შესახებ საუბრობს ათონის ყველა თანამედროვე სულიერი მოძღვარი (ე.წ. „სტარეცი“) და საბერძნეთის ეკლესიის გამოჩენილი სასულიერო პირი. ისინი ერთხმად კრძალავენ მოწევას. ზოგიერთი ათონელი მოძღვარი ამ საკითხის მიმართ იმდენად მკაცრია, რომ მწვეველ მომლოცველებს აღსარებაზე არც კი იღებს. მათი აზრით, როგორ შეძლებს სხვა ცოდვიანი მიდრეკილებებისაგან განწმენდას ის ადამიანი, რომელსაც მოწვევის მიტოვების თავიც არა აქვს? მოწვევის დაუშვებლობაზე საუბრობენ რუსეთის ეკლესიის წმინდანები, მათ შორის, ღირსი სილუან ათონელი და ღირსი ამბროსი ოპტინელი...

დასასრულს მართლმადიდებელი ბერძნების ცხოვრებიდან დავიმოწმით ერთი შემთხვევა. მეოცე საუკუნის დამდეგს, როდესაც თურქებმა მცირე აზიიდან მართლმადიდებელ ბერძენთა უმეტესობა გაასახლეს, სმირნასთან ახლოს ასეთი რამ მოხდა:

ვიდაც თურქ ყასაბს ჰქონდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძველი ხატი, რომელსაც ხორცის დასაჭრელ ფიცრად იყენებდა. ერთმა მართლმადიდებელმა ეს რომ დაინახა, გადაწყვიტა, აღეკვეთა სიწმინდის საშინელი შეურაცხყოფა და ხორცთან ერთად ხატიც იყიდა, ისე როგორც ჩვეულებრივი ფიცარი. სახლში მან ხატი გაწმინდა და სასტუმრო ოთახის კედელზე ჩამოკიდა.

სამწუხაროდ, ეს კაცი მწეველი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მას ძილში ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და გააფრთხილა: თუკი არ შეწყვეტდა სიგარეტის კვამლით მისი ხატის შებილწვას, სჯობდა იგი ისევ თურქისთვის დაებრუნებინა. ღვთისმშობელი ამჯობინებდა თურქ ვაჭარს ხატზე ხორცი დაეჭრა, ვიდრე მართლმადიდებელ ქრისტიანს იგი „ეშმაკის საკმევლის“ სიმყრალით შეეზრჩოლა. ხსენებულმა ქრისტიანმა გაიაზრა თავისი ცოდვა და მოწევას სამუდამოდ დაანება თავი.

მამა გაბრიელი: მეუფეო, რას გვეტყვი ნარკოტიკების შესახებ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: ნარკოტიკების შესახებ თეორიული ცოდნა არ გამაჩნია; მოვიყვან ცნობილი სწავლულის, ექიმ ანასტასიუ ბ. აბრამიდის, ათენის უნივერსიტეტის სამედიცინო კათედრის პროფესორის აზრს. მისმა წიგნმა „სიმართლე ნარკოტიკებზე“, რომელიც 1981 წელს გამოვიდა და შემდეგ ხუთჯერ გამოიცა, მრავალი ადამიანი გადაარჩინა ნარკოტიკების მიღებისაგან და მრავალ ნარკომანს დაეხმარა განკურნებაში.

ავტორი გვიხსნის, რომ ნარკოტიკები მცენარეული წარმოშობის (მორფინი, კოკაინი), ანდა სინთეზური გზით მიღებული ნივთიერებებია. ნარკოტიკები XIX საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა, თუმცა შესაბამისი დოზებით ექიმები მათ უხსო-

ვარი დროიდან იყენებენ. ნარკოტიკების მოხმარებას ადამიანები ტრაგიკულ შედეგებამდე მიჰყავს. ნარკოტიკის რამდენჯერმე მიღება მასზე მიჯაჭვულობას იწვევს, ნარკომანი ე.წ. ნარკოტიკულ შიმშილს განიცდის და იძულებული ხდება, გამუდმებით მიიღოს ამგვარი საშუალებები, რაც ორგანიზმის, განსაკუთრებით ნერვული სისტემის პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს.

ნარკომანის ცხოვრება — ეს არის ნამდვილი კოშმარი, ჯოჯოხეთური ტანჯვა. ნარკოტიკს ადამიანისათვის ერთგვარი ილუზიური კმაყოფილება მოაქვს, მაგრამ ისეთ ნარკოტიკულ მიჯაჭვულობამდე მიჰყავს იგი, რომ მისი უქონლობის დროს ბევრი ნარკომანი თავს იკლავს, რადგან არ ძალუძს ნარკოტიკული შიმშილის გადატანა; სხვები საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ და გაზრდილ დოზას იღებენ, რასაც აგრეთვე სიკვდილი მოსდევს.

მამა გაბრიელი: რა არის ნარკოტიკების მიღების მიზეზი?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: ნარკოტიკებში თავდავიწყებას ეძიებენ ეკლესიის გარეშე მცხოვრები, რელიგიის მიმართ ინდიფერენტულები ადამიანები, რომლებიც სულიერ სიცარიელეს განიცდიან. ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან ქრისტე და არ ცხოვრობენ ეკლესიურად, მცირეოდენი ცხოვრებისეული წარუმატებლობისთანავე სასოწარკვეთას ეძლევიან და ნარკოტიკების საშუალებით სატანას ემონებიან. ნარკოტიკის გასინჯვის საცდურს აძლიერებს ცუდი მაგალითები და იმ ადამიანების საუბრები, ვისაც უკვე გაუხინჯავს იგი, აგრეთვე საკუთარი (ემმაკისაგან შთაგონებული) ცნობისმოყვარეობა, ცხოვრებისეული უსუსურობა, ღვთისადმი ცოცხალი რწმენის უქონლობა და ილუზორული სიამოვნების ძიება. ნარკომანიის გავრცელებაზე მოქმედებს ასევე ... იმ საიდუმლო ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც ახალგაზრდებში სექსუალური

აღვირახსნილობის გაღრმავებას ცდილობენ, რადგან ნარკოტიკებზე მიჯაჭვული ახალგაზრდები უფრო ადვილად ექვემდებარებიან მათ ზემოქმედებას.

მამა გაბრიელი: რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას ნარკოტიკების მიმართ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: წმიდა სახარება, ეკლესიის მამები და ათონის თანამედროვე სულიერი მოძღვრები კატეგორიულად კრძალავენ ნარკოტიკების მიღებას, რადგან ამას მათ მიმართ ცოდვიანი მიჯაჭვულობა მოსდევს, რაც აბსოლუტურად თრგუნავს ადამიანს, ბილწავს მის სულს და კლავს სხეულს. ნარკომანი დაკარგულია ღმერთისა და საზოგადოებისათვის, განწირულია თვითგანადგურებისა და სამუდამო სასჯელისათვის, თუკი დროულად არ მოეგება გონს, არ დაადგება მაცხოვრებელი სინანულის გზას და არ დაექვემდებარება სულიერ და სამედიცინო მკურნალობას.

ძვირფასო, ღვთისათვის საყვარელო ახალგაზრდობავ! თუკი თქვენთვის ფასეულია სხეულის სიჯანსაღე და სულის გადარჩენა, თვალისჩინივით გაუფრთხილდით საკუთარ თავს და დაიცავით იგი ნარკოტიკების გაძლიერებული შემოტევისაგან. ნარკოტიკი – ეს სულისა და სხეულის სიკვდილის სინონიმია.

მამა გაბრიელი: ბოლო დროს მორწმუნეები ტელევიზიის, როგორც ზიანის მომტანის მიმართ, ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას. მაგალითად, ათონზე ტელემიმღებები არ არის. მეუფეო, რას გვეტყოდით ტელევიზიის შესახებ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: თუ ობიექტურად გავაანალიზებთ ტელევიზიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს, უეჭველად მივალთ დასკვნამდე, რომ ბოლო წლებში ტელევიზიას უფრო მეტი საცდური მოაქვს, ვიდრე სარგებელი. თანამედროვე ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, პრესასა და რადიოსთან ერთად, ტელევიზია მნიშვნელოვან როლს

ასრულებს. განვიხილოთ მისი ზემოქმედება ქრისტიანული ზნეობის თვალსაწიერიდან. ცნობილია, რომ სატელევიზიო პროგრამები სავსეა კრიმინალური და სექსუალური თემატიკით. რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინონ საზოგადოებაზე ამ გადაცემებმა? ეჭვგარეშეა, რომ კაცთა მოღვმის დემორალიზაციისათვის ისინი ყველაზე ძლიერ საშუალებას წარმოადგენენ. ამორალური ტელეგადაცემები მოქმედებენ მხედველობის გზით, რაც გახლავთ ყველაზე საშიში და ფაქიზი გამტარი ხორციელი საცდურისა. პორნოგრაფიული ფილმის ნახვას კი უეჭველად მოსდევს ისეთი ხორციელი აღგზნება, რომელიც ან აშკარა ცოდვით სრულდება, ან ვნებიანი სურვილების გაძლიერებაში იჩენს თავს და წარმოსახვაში ჰპოვებს რეალიზაციას.

მორწმუნე ქრისტიანებისათვის ყოვლად დაუშვებელია მაცდუნებელი შინაარსის ფილმების ყურება, რომლებიც ხორციელ აღვირახსნილობას ქადაგებენ. ეს დიდი ცოდვაა და აუცილებელია მისი მონანიება მღვდლის წინაშე. მოუნანიებლობის შემთხვევაში შეცოდების ლაქა ადამიანზე საშინელ სამსჯავრომდე დარჩება.

მამა გაბრიელი: ეკლესიის მამებთან თუ არის ნახსენები რაიმე ტელევიზორის შესახებ?

ეპისკოპოსი კრიზოსტომოსი: ყველაზე ავტორიტეტული მოწმობა, რომელშიც დახასიათებულია ტელევიზია, წმ. კოსმა ეტოლოსის წინასწარმეტყველებაა (ცხოვრობდა XVIII ს-ში, ანუ ტელეხედვის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე). „მოვადრო, – ამბობდა წმინდანი, – როდესაც ეშმაკები სახლებში მომცრო ყუთების სახით შეაღწევენ, მათი რქები კი სახურავებზე იქნება ამოშვერილი“. იუმორით, მაგრამ ზედმიწევნით აღწერა წმ. კოსმამ არსი და საეშმაკო მისია ტელევიზიისა. ეს სიტყვები ტელევიზორის გამოგონების შემდეგ რომ თქმულიყო, შესაძლოა ჩვეულებრივ ირონიად აღექვათ, მაგრამ რადგან

წმინდანმა თავისი აზრი ამ „დიდებულ“ მიღწევამდე დიდი ხნით ადრე გამოთქვა, მისი სიტყვები წინასწარმეტყველებაა, რომელიც ჩვენს თვალწინ აღსრულდა და მოწმობს იმას, თუ ვისი იარაღია ტელევიზორი.

მამა გაბრიელი: რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ტელევიზორის მიმართ?

ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი: ...პრობლემის ორ შესაძლო გადაწყვეტას შემოგთავაზებთ. საუკეთესო და ყველაზე საქება-რი იქნებოდა ტელევიზორის თავიდან მოცილება, ისე, რომ სახლში მისი „რქების“ კვალიც კი არ დარჩეს. ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს ახალი ამბები შეიძლება პრესისა და რადიოს საშუალებით გავიგოთ.

საშუალო, კომპრომისული გადაწყვეტა იქნებოდა ტელევიზორის შენახვა სახლში იმ პირობით, რომ უყურებენ მხოლოდ დასაშვებ გადაცემებს, მაგალითად, ახალ ამბებს, სამეცნიერო-პოპულარულ პროგრამებს, საბავშვო პროგრამებს. ამ შემთხვევაში მოზარდებმა მხოლოდ მათთვის დასაშვებ პროგრამებს უნდა უყურონ, თანაც ყველაზე უხიფათოს ... მშობლების თანდასწრებით.

არჩევანს ტელევიზორის მფლობელებს ვუტოვებ: დაე, ყველა საკუთარი სურვილისა და რელიგიური გულმოდგინების შესაბამისად მოიქცეს. ის, ვინც ამ რჩევებს ყურს არ დაუგდებს და ჩვეული ერთგულებით განაგრძობს ყველაფრის ყურებას, რასაც ტელევიზია შესთავაზებს, ის ზნეობრივ-სულიერი პასუხისმგებლობა მაინც არ დაივიწყოს, რომელიც მას ღმერთის წინაშე აქვს, რადგან დაისჯება როგორც მემრუშე (მათ. 5,28).

მამა გაბრიელი: აღსარება არის საიდუმლო, რომელშიაც ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვები მოგვეტევა, როდესაც მღვდლის თანდასწრებით ღმერთის წინაშე ვინანიებთ ცოდ-

ვებს. აუცილებელია თუ არა აღსარება მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა წევრისათვის?

მამა კირილე (წმ. ნიკოლოზის უდაბნოს წინამძღვარი): არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამქვეყნად უცხოვრია და არ შეუცოდავს. გამონაკლისი და ადამიანური სრულყოფილების ეტალონი უფალი ჩვენი იესო ქრისტეა. ჩვენ ცოდვიანი გულისთქმებით ვართ დაღდასმული და არცთუ იშვიათად ვნებდებით მუხანათურ საცდურებს. რაკი ვცოდავთ, ცოდვის შედეგებისაგან განწმენდის აუცილებლობაც იქმნება. განწმენდა კი მხოლოდ აღსარების საიდუმლოში ხდება. აქედან გამომდინარე, აღსარება ეკლესიის ყველა წევრისთვის აუცილებელია.

მამა გაბრიელი: თუკი ცოდვას ჩავიდენ, შემდეგ აღსარებას ვიტყვი, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ შევცოდავ, მაშ სად არის იმედი გამოსწორებისა?

მამა კირილე: თუკი ჩვენ ერთსა და იმავე ცოდვას რამდენიმეჯერ ჩავიდენთ, ეს ჩვენი სისუსტისა და ცოდვიანი მიდრეკილების სიძლიერის ნიშანია. დაძველებული მიდრეკილება ცოდვის გამეორების ჩვეულებაში გადადის. ფესვგადგმული ჩვეულება ადამიანის მეორე, პარაზიტულ, დამანგრეველ „ბუნებად“ იქცევა. ეს მეტად საშიში და ძნელად განსაკურნებელი მდგომარეობაა. ამ შემთხვევაში განკურნება საკუთარ თავზე ხანგრძლივ მუშაობას, ღმერთის შეწევნასა და სულიერი მოძღვრის რჩევებს საჭიროებს.

ამის მიუხედავად, არსებობს გამოსწორებისა და გადარჩენის იმედი. არჩევანი ჩვენზეა. ცოდვა ადამიანის თანამდევია. თუკი შესცოდე, იღონე ყველაფერი, რომ ისევ აღეშობო. დედა ეკლესია მოელის თავის გზააბნეულ შვილებს და ყოველთვის მზადაა დასახმარებლად, მას თავის განკარგულებაში საიმედო საშუალებები აქვს სულიერი და ხორციელი განწმენდი-

სათვის. მას აქვს ძალმოსილება ჩადენილი ცოდვების მიტევებით-
სა თავისი სულიერი მწყემსების საშუალებით.

თუკი კვლავ შესცოდე, კვლავ წამოდექი და სინანულის გზას
შეუდექი, აღსარების სათქმელად გაეშურე, რადგან, როგორც
წმიდა მამები გვასწავლიან, ბილწ ცოდვაში ყოფნა მხოლოდ
ეშმაკების თვისებაა. მხოლოდ ისინი არ მოინანიებენ არასო-
დეს და არ შეიმუხრავენ გულს ღმერთის წინაშე, ცოდვაში მა-
თი გაქვავებისა და ღვთისადმი მტრობის გამო. ამიტომაც მოე-
ლის მათ სამუდამო სატანჯველი. ცოდვილს, რომელიც საკუ-
თარი ცხოვრების გამოსასწორებლად კეთილ ნებას გამოიჩენს,
უმალ მიიღებს ეკლესია და თვით უფალი იესო ქრისტე.

ქრისტე ყოველი ცოდვილის მოქცევას ელოდება, რადგან ყვე-
ლას ცხონება სწყურია: „არა ყოვნოს უფალმან აღთქუმისა მის-
გან, ვითარ-იგი ვიეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს, არამედ სულ-
გრძელ არს თქუენთვის, რამეთუ არავისი ჰნებავს წარწყმედაჲ,
არამედ ყოველთა სინანულად მოსლვაჲ“ (2 პეტ. 3,9).

მამა გაბრიელი: ზოგიერთი ადამიანი აღსარების საწინააღ-
მდეგოდ საუბრობს: „ღმერთმა იცის ჩემი ცოდვები, მის წინა-
შე ვალიარებ მათ და არა მღვდლის წინაშე“.

მამა კირილე: დიას, ღმერთმა უწყის ჩვენი შეცოდებები,
მაგრამ ცოდვათა მისატევებლად მან თავისი მოწაფეები და მა-
თი მიმღევრები — მღვდლები გამოირჩია. როდესაც იესო ქრის-
ტე დედამიწაზე იმყოფებოდა, იგი თავად მიუტევებდა ცოდვებს
მასთან მისულ ადამიანებს (იხ. მათ. 9,2; ლუკ. 7,47), მაგრამ
თავისი აღდგომის შემდეგ მან ცოდვათა მიტევების ხელმწიფე-
ბა მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს მიანიჭა. ქრისტემ თა-
ვის მოწაფეებს უთხრა: „მშვიდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მო-
მავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ. და ვითარცა
ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუ-
ეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუე-

თუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იოან. 20,21-23; შდრ. მათ. 18,18).

მღვდელი იღებს აღსარებას ქრისტეს მცნების თანახმად და სული წმიდის მადლით მიუტევენს აღიარებულ ცოდვებს. ხაზს ვუსვამ: აღიარებულ ცოდვებს, ხმამაღლა ნათქვამს. ის ცოდვები, რომლებიც არ იქნება აღიარებული მღვდლის წინაშე, არ მიეტევა — ასე გვასწავლიან წმიდა მამები, ამასვე ამტკიცებს ნეტარი თეოდორას ხილვა (ხს. 28 მარტს).

მამა გაბრიელი: მინდა ვისარგებლო შემთხვევით, მამაო, ...ძალიან გავრცელებული „მოდის“ — აბორტის შესახებ მსურს მოვისმინო თქვენგან.

მამა სტეფანე: მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, რომელიც წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემას ეფუძნება, ყოველი ადამიანის სიცოცხლე მისი ჩასახვისთანავე იწყება (ორთოდოქსოს მარტირია, გვ. 67). ორსულობის შეწყვეტა ნებისმიერ სტადიაში მკვლევლობის ცოდვას უტოლდება. ამას ადასტურებს VI მსოფლიო კრების 91-ე კანონი: „ქალებს, რომლებიც (ორსულებს) ჩვილების მოსაკვდინებელ წამალს მისცემენ და რომლებიც თვითონ მიიღებენ მათ მოსაშორებელ საწამლავს, კაცისმკვლელთა კანონით განვაკანონებთ“. ამის შესახებ წერია წმიდა ბასილი დიდის II და VIII კანონებშიც.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი ჩვილი იესო ქრისტეს მაგალითზე დაასკვნის: „ჩასახვისთანავე ჩვილი იღებს სულს და იმავე დროულად იწყება მისი სხეულის ფორმირება...“

ამავე აზრს იზიარებენ წმ. იოანე დამასკელი, წმ. სოფრონ იერუსალიმელი, წმ. გრიგოლ ნოსელი. წმ. ათანასე დიდი ტრაქტატში ადამიანის შესახებ ხაზს უსვამს, რომ სულისა და ხორცის ერთდროულად მიღება ჩვილის სწორი განვითარების პირობაა.

ზემოთქმულს ეთანხმება მეცნიერული მიღწევებიც. საბერძნეთის მეცნიერებისა და ექიმების ყრილობამ, რომელიც 1986 წელს ჩატარდა თესალონიკში, დაამოწმა, რომ ბავშვი სრულყოფილი ადამიანური ორგანიზმია ჩასახვის მომენტიდან. აქედან ერთადერთი სწორი დასკვნა გამომდინარეობს: აბორტი ანუ ორსულობის შეწყვეტა ნებისმიერ ეტაპზე – წინასწარგანზრახული მკვლელობაა.

ყოველთვიური გამოცემა „ორთოდოქსოს მარტირია“ აღწერს ასეთ შემთხვევას: ერთი ათენელი ცოლ-ქმარი, სამი შვილის მშობლები, ძლიერ შეწუხდნენ, როცა შეიტყვეს, რომ კიდევ ერთი შვილი ეყოლებოდათ. ეს მათ არ სურდათ. ისინი ერთად წავიდნენ ექიმთან ორსულობის შესაწყვეტად. ექიმმა იცოდა, თუ რას ნიშნავს აბორტი სამეცნიერო და რელიგიური პოზიციებიდან და რა სასჯელი მოსდევს ამ დანაშაულს. მცირე ხნის ღუმილის შემდეგ მან იკითხა:

– თქვენ გყავთ შვილები?

– დიახ, სამი.

– მაშინ მე თქვენ ერთ რჩევას მოგცემთ. თუკი არ გსურთ სამ შვილზე მეტის ყოლა, მაშინ სხვა შვილი მოკალით, უმჯობესია – უმცროსი, იმისთვის, რომ იმან, რომელიც უნდა დაიბადოს, ნახოს ეს ქვეყანა და მოინათლოს. ამ შემთხვევაში თქვენი ცოლიც გადაურჩება წარუმატებელი აბორტის საშიშროებას.

– ესლა გვაკლდა, – აღიარეს თავზარდაცემულმა მეუღლეებმა, – ახლა მივხვდით, რის გაკეთებასაც ვაპირებდით.

ცნობილი ათენელი მქადაგებელი, მამა გიორგი კ. აბორტის შესახებ ამბობს: „აბორტი ამდაბლებს ქალის ღირსებას. მოკლული ჩვილის სისხლი ყოველთვის იღადადებს ღედის სინდისის მიმართ: „ღედაჩემო, რატომ მაგდებ ჯალათი ექიმის ხელში? ექიმო, რატომ მკლავ? რა დაგიშავეთ? რატომ ჩადიხართ

ამას? იქნებ იმიტომ, რომ ჯერ არ გინახივართ და არ შეგყვარებთ? მომეცით ნება, ვნახო ქვეყანა, მოვინათლო, რომ მარადიულად ღმერთთან ყოფნა შევძლო. ვაი თქვენდა საშინელი სამსჯავროს დღეს! მაშინ მე თქვენი მსაჯული და თქვენს მიერ ჩადენილ დანაშაულთა მოწმე ვიქნები...”

მამა გაბრიელი: გვიამბეთ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული მისტიკური ფსევდორელიგიური სწავლებების შესახებ.

მამა სტეფანე: პირველ ყოვლისა ის უნდა გავიაზროთ, თუ რატომ მოიცვეს მთელი მსოფლიო მისტიკურ-რელიგიური ხასიათის მოღერნისტულმა მიმდინარეობებმა. ეს ღვთისაგან ადამიანის განშორებისა და იმ ფართო გზის არჩევის შედეგია, რომელსაც კაცთა სულები დაღუპვისაკენ მიჰყავს. მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, სულიწმიდის შეუბღალავ საგანძურს, სჯულმდებელ ქრისტეს მისტიურ სხეულს ძალუძს წინ აღუდგეს ამ ცრუსწავლებებს. მართლმადიდებლობა ცოცხალი ღმერთის შესახებ ასწავლის, ხოლო ეზოტერული რელიგიები შორეული, აბსტრაქტული ღმერთის შესახებ საუბრობენ. ეკლესიის არსი და მოძღვრება გვიხსნის ადამიანის ცხოვრების აზრსა და პრინციპს, მოგვითხრობს ღმერთისა და ადამიანის საერთო მტრის — სატანისა და მასთან სულიერი ბრძოლის საშუალებების შესახებ. ეკლესია გვასწავლის შეურყეველად გვწამდეს მარადიული ცხოვრების არსებობა, რომლის მიღწევა ქრისტიანის უპირველესი მიზანია. ეკლესია საიმედო წინამძღოლია ცხოვრების გზაზე. ახლად აღმოცენებული რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობები მართლმადიდებლობის საპირისპირო მსოფლმხედველობას ქადაგებენ. მათი სწავლებით ადამიანი სრულყოფას მიაღწევს საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებით, რაც, ამ ცრუმოდვრებების მიხედვით, მეთოდური ვარჯიშებისა და კოსმიურ ძალებთან „მისტიკური კონ-

ტაქტის“ გზით მიიღწევა. ამას ასწავლიან მსოფლიო რელიგიურ-სინკრეტული მოძრაობა „ნიუ-ეიჯი“ („ახალი ერა“), იოგები, სატანისტები...

სრულიად საბერძნეთის ღვთისმეტყველთა 1989 წლის ყრილობის დადგენილებასთან თანხმობით და პირადი შეხედულებების შესაბამისად ვამტკიცებ, რომ ყველა ნეოეზოტერული რელიგიურ-მისტიკური ორგანიზაცია კერპთაყვანისმცემლობის ახალი გამოვლინებაა. მათ ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვთ და უბრალოდ მისი მტრები არიან, რადგან ფარულად თუ აშკარად სატანის კულტსა და ახალ ქრისტეზე სწავლებას ავითარებენ.

წმიდა წერილის მცოდნე მართლმადიდებელი ქრისტიანი ადვილად მიხვდება, რომელი ქრისტე ჰყავთ მათ მხედველობაში. დაბნეულობით დაავიწყდათ იმ „ქრისტეს“ სახელისთვის, რომელსაც ელიან, წინსართი „ანტი“ დაემატებინათ. ჩვენს მიერ ნახსენებ ყველა მიმდინარეობას ერთი სათავე აქვს — სატანა, რომელიც თავისი ერთგული ადამიანების საშუალებით მოქმედებს და სხვადასხვა ფორმით ავლენს თავს. ამას უნდა დავუმატოთ პრაქტიკული სექტორიც: ამორალური სატელევიზიო გადაცემები, პორნოგრაფია, „თავისუფალი“ ცხოვრების წესის პროპაგანდა, მაგია, კოსმიურ ძალთა თეორია. მათი მიზანია: დააბნელონ, გაფანტონ ერთი ღმერთის, შემოქმედისა და მაცხოვრის იდეა, გაანადგურონ ოჯახის ქრისტიანული საფუძვლები და ადამიანური ზნეობა. კაცი, რომელიც ზემოჩამოთვლილ ჭუჭყს შეისრუტავს, სიამოვნებით მიეცემა მაცდუნებელ სიტკობებს, მაგრამ დანაპირები თავისუფლების ნაცვლად ცოდვისა და სატანის ტყვეობაში ჩავარდება. სატანის მარწუხებში მოქცეული, ცოდვებში ჩაფლული ასეთი ადამიანი კარგავს ღმერთსა და მარადიულ ცხოვრებას.

რაკი ვაცნობიერებთ, თუ როგორ რელიგიურ-პოლიტიკურ პირობებში გვიწევს ცხოვრება, ფხიზლად უნდა ვიყოთ — დღეს ჟამია სინანულისა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავემიჯნოთ ყველაფერს, რაც მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცხოა. ჩვენი მეგზურია წმიდა წერილი ეკლესიის წმიდა მამათა განმარტებით. ჩვენი ცხოვრება ჩვენს უფალ იესო ქრისტეშია. ჩვენი შესავედრებელი და გაჭირვებაში შემწე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია, ჩვენი იმედი და სწეულებაში შეწევნა — ვედრება ღვთისადმი და წმიდა საიდუმლოებები: აღსარება, ზიარება, ზეთის კურთხევა. ზოგჯერ შეიძლება ჩვეულებრივი ექიმი დაგვეხმაროს, მაგრამ არასოდეს შემლოცველი და ჯადოქარი, როგორც არის, მაგალითად, კაშპიროვსკი. ჩვენ ყოველდღიურად გვიცავს პირჯვრის გამოსახვა, გულზე ჯვრის ტარება, იესოს ლოცვა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი ვედრება. ჩვენი საზრდო და სიცოცხლის წყარო განუწყვეტელი ზიარებაა; ჩვენი სიხარული და ნუგეში — საეკლესიო მსახურებებში მონაწილეობა, სახარების, წმინდანთა ცხოვრებების კითხვა, მართლმადიდებლური საგალობლები და მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობა.

ნუ დაგკარგავთ იმედს — უფალი ჩვენთან არის. ჩვენი ცხოვრების მიზანი სულიწმიდის ნიჭების მოპოვება და ღმერთთან მარადიული ერთობაა.

თარგმნა ვლადიმერ წამალაშვილმა წიგნიდან
Иеромонах Гавриил “Афонское приношение
современной православной духовности”. Ясенево, 2000.



